№ 94 პარასკევი, 30 აპრილი 1910 წ. № 94

დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოეულ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ღამის საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელს არ ინახება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან საღამოდღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, დიდი ვანქის ქ. N 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА“.
ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

23 აპრილს გარდაიცვალა ქ. ქუთაისში კაპიტანი

კონსტანტინე ანდრიას ძე მარჯანიშვილი,

რასაც გულითადის მწუხარებით აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებულის მეუღლე **მარიამ სიმონ ბაგრატიონის ასული,** ძენი **ვიქტორ** და **ნიკოლოზ,** ასულნი **ოლღა, ბარბალე** და **ანნა** და სიძე **ერასტი სიმონის ძე თუთბერიძე.** პანაშვიდები ყოველ დღე საკუთარ სახლში (არქიელის გორაზე) საღამოს 6 ნახევარ საათზ. ცხედრის გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება ბაგრატის ტაძრის სასაფლაოზე, პარასკევს, 30 აპრილს, ნაშუადღევის 5 ნახ. საათზე. (2—კვ.—2)

შაბათს, პირველ მაისს

იოსებ (ტატო) დავითის ძის გაბაშვილის

გარდაცვალების ნახევარი წლის თავზე, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი 11 ნახევ. საათზე. (1—267—1)

მღვდელი სიმონ კასრაძე გულითად მადლობას უძღვნის ყველას, ვინც საშინელ მწუხარებაში, ძვირფას შვილის **შალვა კასრაძის** დაკარგვის გამო, თანაგრძნობა გამოუცხადა. მადლობას უძღვნის აგრეთვე განსვენებულის იმ ამხანაგებს, ქართულ გიმნაზიის მეოთხე ვლასის მოწაფეებს, რომელთაც 26 მანეთი მოაგროვეს- ეს ფული მოხმარდება ძეგლის აგებას. (1—1)

კვირას, მაისის 2-სა მუშტაიდის ბაღში

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ გაიმართება

დიდი სეირნობა და ლატარია-ალეგრი

განყოფილება პირველი:

◆ შუადღის 11 საათიდან 3 საათამდის ◆

საბავშვო დღესასწაული

მუსიკა. თამაშობა. გაჯიბრება საჩუქრებით

◆ საღამოს 5 საათიდან 11 საათამდის ◆

განყოფილება მეორე:

1. გიმნასტიური ვარჯიშობა „სოკოლის“ (შევარდენის) საზოგადოების წევრებისა.
2. კონცერტი ქართულ ხოროსი ბ-ნ ა. კავსაძის ხელმძღვანელობით.

განყოფილება მესამე:

ლატარია-ალეგრი (ცალკე პავილიონში). ლატარიაში ჩაგდებული იქნება 800 ნივთი. დიდი სარკე, ძროხა, ცხვრები, ვერცხლისა და სხვა ძვირფასი ნივთები. ფასი ლატარიის ბილეთისა 20 კ. პავილიონში შესვლა 1 მან.

განყოფილება მეოთხე:

ჟინჟლილა შუშხუნები

ბაღში შესვლა ღირს ბავშვებისთვის 15 კ. დიდებისთვის 25 კ. ბაღში დაუკრავს სამხედრო მუსიკა და საზანდარი.

—◆ **ბუფეტი; ჩაი, ყვავილები სერპანტინი.** ◆— (8—7)

ზ. ს. ს. ს. სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე

შაბათს, 1 მაისს, 1910 წ.

ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის და ვ. გამყრელიძის

მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

ალლუმი

კომ. 4 მოქმ. გადმ. ვ. გუნიას მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარელი. გოდერძოვი, თამარაშვილი, ლეჟავა, ქიქოძე, ციმაკურიძე; ბ-ნნი: ანაშვილი, ბადრიძე, გოცირიძე, გამყრელიძე, ზურაბიშვილი, ინაშვილი, მეტრეველი, პეპანოვი, ცაბაძე.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთების ფასი 5-დან 50-კდე.

(2—1) ადმინისტრატორი **ჭიაბერაშვილი.** რეჟისორი კ. **შათირიშვილი.**

„საარტისტო საზოგად.“ თეატრი

25 წ. საიუბილეო დღესასწაული 25 წ.

● **ხუთშაბათს, 6 მაისს** ●

ქართულ და სომხურ დრამატიულ საზოგ. გამგეობათა-მიერ ქართულ და სომხურ სცენების არტისტის გედეონ ვასილის ძის

გედევანოვ-მირალიანის

25 წ. სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად გაიმართება

სადღესასწაულო წარმოდგენა

წარმოდგენილი იქნება:

I. **ქართულად: მოლიერის** ტარტიუფი **მეოთხე მოქმედება, რეჟისორი კ. შათირიშვილი**
II. **სომხურად: გ. სუნდუკიანცის** დაქცეული ოჯახი **პირველი მოქმედება რეჟისორი ომ. მაისურიანი.**
III. **ქართულად: ა. ცაგარლის** ხანუმა **მეორე მოქმედება რეჟისორი კ. შათირიშვილი.**

მილოცვები, ადრესები და სხვა.

მონაწილეობას იღებენ: (ანბანთა რიგით) ქ-ნნი ტ. აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ა. ვართუი, თ. გოგოლაშვილი, ა. კარგარეთელი, მ. მელიქიანი, ელ. ჩერქეზიშვილი, ვ. ჩიმიშკიანი; ბ-ნნი ვ აბაშიძე, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი-მირალიანი, ნ. გოცირიძე, ა. იმედაშვილი, ა. მამოკონიანი, დ. მგალობლიშვილი, ი. ზ. ტერდავითიანი.

ადგილების ფასი საზეიმოა. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

საიუბილეო კომისია.

ზედამხედველი კომიტეტი

მიხეილის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა ქუთაისს,

ბანკის წესდების მე-89 § ძალით, საყოველთაოდ აცხადებს, რომ ბანკის რწმუნებულთა მორიგი კრება დანიშნულია ქ. ქუთაისს ბანკის სადგომში 31 მაისს ამას 1910 წელს, დილის 11 საათზე.

თანახმად მე-89-§ შენიშვნისა, კრება ჩაითვლება კანონიერად, რამდენი რწმუნებულიც უნდა გამოცხადდეს.

კრების განსახილველი საგნები:

1. 1909 წლის ანგარიში,
2. ხარჯთ-აღრიცხვა 1910 წლისა;
3. მოგების განაწილება.
4. შეცვლა და დამატება ბანკის წესდების რამდენიმე -სა და განხილვა ბანკზე დარჩენილ მამულების მართვა-გამგეობისა.
5. ბანკის მოსამსახურეთა საპენსიო კასის ანგარიში.
6 არჩევანი გამგეობის თავმჯდომარისა (თანახმად უმაღლესად დამტკიცებულ 26 მარტს 1910 წ. მინისტრთა საბჭოს დადგენილებისა).
და 7. არჩევნები ზედამხედველ კომიტეტის წევრებისა, გამგეობის წევრისა და კანდიდატისა. (3—ნ.—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოხიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ.- დ [illegible] ხას. 1—2 ს. დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.
გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და [illegible] ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11
გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.
მალალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ.,
მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.
მუსხელიშვილი ვ ს. თვალის, ორშ., ოთხშ და პარასკ. 2 2-ნახ. ს.
ფირადოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე
პაპოვი ვ. ა. ქურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.
რცხილაძე. ნ. კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.
სობოლევსკი გ. გ. ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—ნ.—165)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

გ. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
ა. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
ვ. ს. მუსხელიშვილი—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა.
ბ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.
ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით (წლ.—ნ.—330)

ექიმი ა ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს აღ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—52)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

ექიმი დ. ახვლედიანი
იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ.

ექიმი ე. ვაშაკიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—113)

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი
იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოხე ქიქოძის სახლი. (0—უ.—172)

ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი ქუთაისში
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. 5½—6½ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, (ელექტრონის საშუალებით ბუშტის და საშარდე მილის გასინჯვა საღამოს 6½—8 ს. ტუბერკულიოთ წამლობა ჭლექიანებისა, ელექტრო-თერაპია, ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (75—კვ.—59)

ექიმი კბილისა ქუთაისში ა. ა. ბუტულოვისა
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. და საღამოთი 4—7 ს. მოსწავლენი იხდიან ნახევარს. გიმნაზიის ქ., ა. თუმანოვის სახლი, ბულვარის პირდაპირ. 25—კვ.—32

ექიმი ბავშვებისა ქუთაისში ბადრიძე
1 მაისიდან გადადის საკუთარ სახლში გენერლის ქუჩაზე ავადმყოფ ბავშვების გასინჯვა და აცრა. 9—12 და 5—7 ს. 25—ნ.—7

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი
იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდოროვის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—423)

ექიმი შ. მიქელაძე
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაბგეროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—82)

ექიმი ვ. ლამბაშიძე
გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

ექიმი ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი
იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი). დილით 9—12, საღამოთი 5—7 საათ., კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (72—კვ.—30

შპალერი

8 კაპეიკიდან 6 მან.-მდე რულონ

ძმ. ტარნოპოლსკის

საწყობი რუსეთის ყველა დიდ ქალაქშია.

განყოფილება **ტფილისში:** გოლოვინის პრ., № 21, არტისტ. საზოგად. ქვეშ, ტელ. № 355.

ფასები საფაბრიკოა.

ნიმუშები უფასოდ. (50—1046—12)

◀ **ქართული თეატრი** ▶

შაბათს, 1 მაისს,

მამადავითის ქალთა სკოლის სასარგებლოდ

სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება

ფრანგულ ენაზე

„შეყვარებული“

(AMOUREUSE).

კომ. 3 მოქ. პორტო-რიშისა.

მონაწილეობას იღებენ: კნ. ელ. ირ. ჯამბაკურ-ორბელიანისა, ქალ. ვ. ლამბაშიძისა, კნ. ან. თუმანიშვილისა, M-e სენტ-მარი, M-ee კარრეტ, ბ-ნნი დე-მორკუე, ბიაერ და სხვანი.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

რეჟისორი **ბ. გოსსი.**

გამგე **კნ. ელ, ირ. ჯამბაკურ-ორბელიანისა.** (2—2)

სავალდებულო დადგენილება,

გამოცემული ქალაქ ტფილისის და ტფილისის მაზრის დროებით გენერალ-გუბერნატორის მიერ.

რათა პირველ მაისს არ დაირღვეს საზოგადოებრივ ცხოვრების ნორმალური პირობები და დაცულ იქმნეს სრული წესიერება და მშვიდობიანობა, ამიტომ საყოველთაოდ ვაცხადებ:

1. პირველ მაისს ყველა მაღაზია, დუქანი და სხვა სავაჭრო დაწესებულება, ქარხანა, სახელოსნო და ყველა სამრეწველო დანიშნულ დროზე უნდა გაიღოს. მუშაობა და ვაჭრობა მთელ დღეს უნდა სწარმოებდეს არა მარტო პირველ მაისს, არამედ შემდეგშიაც;

2. სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებების ნოქრები და სხვა მუშები სამუშაოდ ჩვეულებრივ დროს უნდა გამოცხადდნენ;

3. ვინც ამ სავალდებულო დადგენილებას დაარღვევს, იგი ადმინისტრატიულის წესით დაისჯება ან დაჯარიმებით 3000 მანეთამდე, ან დატუსაღებით სამ თვემდე.

დროებითი გენერალ-გუბერნატორი საგენერალო შტაბის გენერალ-
(1—1) მაიორი **რიაბინკინი.**

სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპ. სააგენტ.)

სამუშაო დღე სავაჭრო დაწესებულებებში.

28 აპრილის სხდომაზე სათათბირომ განაგრძო მთავრობის კანონ-პროექტის განხილვა სავაჭრო დაწესებულებებში მოსამსახურეთათვის სამუშაო დღის დაწესების შესახებ. ამ პროექტზე კამათის დაწყებამდე სათათბირომ განიხილა რამდენიმე წვრილი კანონ-პროექტი. სხვათა შორის, მიიღო კანონ-პროექტი მუღანის ველში, სადაც რუსის გლეხებს ასახლებენ, 12,000 დესეტინის მოსარწყავად არაქსიდან არხის გაყვანის შესახებ. ამისთვის სათათბირომ საჭირო ფულიც გადასდო.

სავაჭრო დაწესებულებებში სამუშაო დღის დაწესების შესახებ ბევრმა ორატორმა ილაპარაკა.

ხასმამედოვმა და **მაქსუდოვმა** (მაჰმადიანთა ფრაქცია) მოითხოვეს, მაჰმადიანებს ნება მიეცეთ კვირის ნაცვლად პარასკევი იდღესასწაულონო.

სუშკოვი, კარიაკინი და **კოვალენკო** (მემარჯვენეები) ამბობდნენ, რომ უნდა მოწეს-რიგდეს მხოლოდ ნოქრების მუშაობა; რაც შეეხება სავაჭრო დაწესებულებების დაკეტვას, ამას კანონ-პროექტი არ უნდა შეეხოსო.

მაკლაკოვმა და **კუტლერმა** კადეტთა ფრაქციის სახელით დაიწუნეს და დაჰგმეს პროექტი. მაკლაკოვმა სთქვა: რუსეთში აკრძალულია ნოქრების კავშირები; ნოქრებს არ შეუძლიათ, თავიანთი ინტერესები თითონვე დაიცვან; ამიტომ მთავრობა მოვალეა დაიცვას ნოქრების ინტერესები. მაგრამ პროექტი არაფერს ამისთანას არ შეიცავსო. ჩვენი ფრაქციაო, სთქვა ორატორმა, კანონ-პროექტის განხილვის დროს სამ დებულებას დაიცავს: 1. სავაჭრო დაწესებულებებში დაწესდეს რვა საათის მუშაობა და არა ათი საათისა, რომელიც ნოქარს სავაჭრო მანქანად ჰხდის; 2. რომ კანონი არ ირღვეოდეს, საზოგადო დაწესებულებებს უფლება მიეცეთ, დააწესონ ხოლმე ვაჭრობის დრო ყველა დარგისთვის; 3. სავაჭრო დაწესებულებები იკეტებოდნენ ხოლმე იმ დროსაც, როცა ნოქრები პურსა სჭამენ.

კლიმოვმაც (პროგრესისტი) შეუძლებლად სცნო მთავრობის კანონ-პროექტის მიღება. ეს კანონ-პროექტიო, სთქვა მან, არავითარ ნორმალურ დასვენებას არ აწესებს სავაჭრო დაწესებულებებშიო.

კუზნეცოვმა ს.-დემოკრატების სახელით რვა საათის მუშაობის დაწესება მოითხოვა; მოითხოვა აგრეთვე კანტროლი, რომ კანონი ცხოვრებაში შესრულებულ იქმნას, და უფლება, რომ ნოქრებს შეეძლოთ კვირაში 42 საათით დაისვენონ. ორატორის აზრით, მთავრობის კანონ-პროექტი პირდაპირ საზარალოა ნოქრებისათვის, ამიტომ უარყოფილ უნდა იქმნასო.

დზიუბინსკიმ (ტრუდოვიკი) აღნიშნა ის გარემოება, რომ სათათბიროს კომისიამ არაფერი თვალსაჩინო არ შეიტანა მთავრობის კანონ-პროექტში, რომლის მიღებაც, მისის აზრით, შეუძლებელია. ნოქრები უნდა შეერთდნენო, სთქვა ორატორმა, და მაშინ ეღირსებიან თავიანთ მდგომარეობის გაუმჯობესებასაო.

პარჩევსკიმ (პოლონელი) სთქვა, რომ არ შეიძლება უზარმაზარ რუსეთისთვის ერთი კანონის გამოცემა, შეუძლებელია ეს განსაკუთრებით პოლონეთისთვის, სადაც სულ სხვა პირობებიაო. რაც შეეხება თვით კანონ-პროექტს, ორატორის აზრით, სამინისტრომ ყური უნდა მიუგდოს პროფესიონალურ კავშირების ხმას.

შეკითხვა თავ. გ. ამილახვრის შესახებ.

შემდეგ წაიკითხეს სოციალ-დემოკრატების, კადეტებისა და ტრუდოვიკების მიერ შეტანილი შეკითხვა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სახელზე. შეკითხვა შეეხება შორაპნის მაზრის პოლიციას, რომელიც ბოქაულის ნემსაძის მეთაურობით ძალით ჰკრეფავს ფულს მემამულის თავ. ამილახვრის სასარგებლოდ. მკითხველებს ეხსომებათ ეს საქმე. გლეხებს ამილახვრის ტყის გაჩეხას აბრალებენ და ამისთვის დიდ-ძალი ფული მოსთხოვეს. შეკითხვაში ნათქვამია, რომ [illegible] და აწიოკებენ. შეკითხვის შეტანთ მოითხოვეს სისწრაფე განხილვა.

გეგეჭკორმა განაცხადა, რომ პოლიცია დღესაც განაგრძობს გლეხების [illegible]. ორატორმა [illegible] იმედია სათათბირო ხელს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში მაინც, არ [illegible] იმ უკანონობასთან [illegible], რომელიც კავკასიაში გაბატონებულია.

ტიმოშკინი წინააღმდეგი იყო სისწრაფისა; მან მოითხოვა, შეკითხვა კომისიას [illegible] შესამოწმებლად.

სათათბირომ 84 ხმით 7 ხმის წინააღმდეგ სისწრაფე მიიღო. მიიღო [illegible] შეკითხვაც.

შეკითხვა ძირითად კანონების დარღვევის შესახებ.

საღამოს სხდომაზე სათათბირომ, როგორც იყო, დაამთავრა კამათი შეკითხვაზე ძირითად კანონების დარღვევის შესახებ. როგორც ვიცით, ამ შეკითხვის განხილვა თითქმის 2 თვის წინად დაიწყო და სათათბირომ მას მრავალი სხდომა მოანდომა. 28 აპრილს სულ სამმა ორატორმა ილაპარაკა: კადეტმა მაკლაკოვმა, ოქტომბრისტთა ფრაქციიდან გაქცეულმა გოლოლობოვმა და ოქტომბრისტმა გრაფმა უვაროვმა.

მაკლაკოვმა ერთ საათს ილაპარაკა და ერთხელ კიდევ აშკარა ჰყო უკანონობა მთავრობისა, რომელმაც 24 აგვისტოს წესების გამოცემით ძირითადი კანონები დაარღვია. სხვათა შორის, ორატორმა სთქვა: სახელმწიფოს ცხოვრებაში განსაკუთრებული, არა-ჩვეულებრივი ფაქტი მოხდა: კანონი, შემუშავებული და შეტანილი მთავრობის მიერ, არ დაამტკიცა მთავრობამ (ხმაურობა მარჯვნივ)—ეს ნიშანია სახელმწიფოებრივ უპრინციპობისაო (ტაში მარცხნივ). ორატორმა აღნიშნა, რომ მთელი დღევანდელი მთავრობა „კრამოლაზეა" დამყარებული და როცა „კრამოლა" არ არის, მთავრობა დაეძებს მასაო.

გოლოლობოვმა. თავისი სიტყვა მთლად ოქტომბრისტებს შესწირა. ამ ყოფილმა ოქტომბრისტმა საშინლად გაჰკიცხა ოქტომბრისტის პარტია—რათა სთვლით თქვენ თავს კონსტიტუციონალისტებად და რატომ არ აღიარებთ თვით-მპყრობელობასაო ყველამ ვიცით, რა კონსტიტუციონალისტები არიან ოქტომბრისტები, მაგრამ მათზე მარჯვნივ მდგომთ ესეც დიდ რევოლიუციონერობად მიაჩნიათ. რუსეთს ატყუებთ თქვენაო, სთქვა ორატორმა, თვით-მპყრობელობას ძირი გამოუთხარეთ, მართლ-მადიდებლობა დაამცირეთ იმით, რომ სხვა სარწმუნოებებს ამოუყენეთ გვერდში, შემოიტანეთ კოსმოპოლიტიზმი, დაარღვიეთ ფიცი და სხვა. დადგება დრო, როდესაც ოქტომბრისტი სალანძღავ სიტყვად გადაიქცევაო (ცხარე ტაში მარჯვნივ).

გრაფმა უვაროვმა. პასუხი გასცა გოლოლობოვს. მან სთქვა: გოლოლობოვის სიტყვას მნიშვნელობა ექნებოდა, სამი წლის წინად რომ ეთქვა; ეხლა კი იგი მოწმობს მხოლოდ ერთს, სახელდობრ იმას, რომ ბევრის პოლიტიკურ შეგნებაში ცვლილობა მოხდაო. ორატორმა მემარჯვენეებზე სთქვა: ესენი ჰგვანან იმათ, რომელნიც გაიძახოდნენ: დეე, მეფე თვით-მპყრობელი იყოს, ჩვენ-კი იმის ზურგს უკან ჩვენ ჭუჭყიან საქმეებს მოვაწყობთო (საშინელი ხმაურობა მარჯვნივ ყვირილი: „ცრუო, საზიზღარო, ძირს"). მთავრობამ ამ ბოლო დროს აზრი შეიცვალა, იგი მემარჯვენეებს ეკედლება და იმათ დახმარებას დაეძებს, მაგრამ როცა მთავრობა ამას მიაღწევს, იგი იძულებული გახდება წავიდეს! (ტაში მარცხნივ).

კამათი გათავდა, მაგრამ რაკი გვიან იყო, მომხსენებელმა სიტყვა ველარ დაათავა და კენჭის ყრაც ვერ მოხდა.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

29 აპრილი.

ინგლისის მეფის გარდაცვალება

ლონდონი. დეპუტატთა პალატა. თავმჯდომარის მოადგილემ ემმოტმა სხდომის გახსნისთანავე წაიკითხა სახელმწიფო სათათბიროს მიერ გამოგზავნილი სამგლოვიარო დეპეშა.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორის ბრძანებით, მეფე ედუარდის გარდაცვალების გამო, გუსართა კიევის პოლკში 24 დღით გლოვა გამოცხადდა. მეფე ედუარდი ამ პოლკის შეფად ითვლებოდა.

ბრიუსელი. მეფე ალბერტი დაესწრება ედუარდის დაკრძალვას.

სოფია. მაკედონია-ანდრიანოპოლის ემიგრანტთა კავშირმა ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრს ედუარდ გრეის სამგლოვიარო დეპეშა გაუგზავნა.

ლონდონი. მეფე გეორგ მეხუთემ 7 მაისი ეროვნულ გლოვის დღედ გამოაცხადა. ქვრივმა დედოფალმა ალექსანდრამ ინგლისის ხალხს მოწოდებით მიმართა და მადლობა გადაუხადა თანაგრძნობისთვის. მოწოდებაში, სხვათა შორის, დედოფალი სწერს, ჩემ შვილს ინგლისის ხალხს ვაბარებ, დარწმუნებული, რომ იგი თავის მამის გზას დაადგებაო.

მთავრობამ გადასწყვიტა დეპუტატთა პალატაში შეიტანოს კანონპროექტი, რომლითაც უნდა შეიცვალოს ტექსტი განცხადებისა ტახტზე ასვლის დროს განზრახულია განცხადებიდან გამოსტოვონ ის სიტყვები, რომელიც კათოლიკები თავიანთ შეურაცყოფად სთვლიან. კათოლიკები დიდი ხანია სცდილობენ, რომ განცხადებიდან ამოიშალოს ის ადგილი, სადაც ნათქვამია, კათოლიკეთა საეკკლესიო წესები ცრუმორწმუნოებით და კერპთ-მთაყვანისმცემლობით არის გაჟღენთილიო.

აჯანყება ალბანეთში

სალონიკი. ჩერნოლევის გასავლის ჯარს და ალბანელებს შეტაკებები მოსდით. ალბანელები ძალიან იცავენ გასავალს. ჩერნოლევის გასავალთან გაგზავნილი 8 ბატალიონი იძულებული გახდა ლიპლიანში დაბრუნებულიყო. პრიზრენის მიდამოებში აუარებელმა ალბანელებმა მოიყარა თავი. შევკეთ-ტურგუტ ფაშა ფერიზოვიჩში ერთ კვირაზე მეტი დარჩება. ტურგუტ-ფაშას უნდა ალბანელებთან შერიგება იმ პირობით, რომ ეხლანდელი მდგომარეობა არ შეიცვალოს. დაითხოვეს მესამე კორპუსის უფროსი და სალონიკის ოსმალეთის გიმნაზიის დირექტორი, ჩამომავლობით ალბანელი. სალონიკის პოლიციამ კონფისკაცია უყო აუარებელ იარაღს და ტანსაცმელს, რომელიც ზღვით მოსულ ალბანელების ბარგში აღმოჩნდა. კრიტეს დეპუტატების ფიცის მიღების გამო, განზრახული აქვთ მიტინგი გამართონ.

ფინლიანდია

ჰელსინგფორსი. სეიმმა მიიღო კანონ-პროექტი, რომლითაც ახალი გადასახადი წესდება არაყსა, სათამაშო ქაღალდსა და ალაოზე. ერთ ლიტრა არაყს ორი მარკა გადასახადი დაედება, 10 კილო ალაოს—რვა მარკა და თვითეულ ბანქოზე—ერთი მარკა.

პეტერბურგი. ლონდონიდან ჩამოვიდა პროფესსორი პერსი, რომელმაც მოაწყო სახელმწიფო სათათბიროს და საბჭოს დეპუტატების ინგლისში წასვლა. პერსის სიტყვით, გაზვიადებულია ის ხმა, ვითომ ინგლისის საზოგადოებრივი აზრი ძალიან აღელვებული იყოს ფინლიანდიის საკითხით. თუ დეპუტატთა პალატაში ფინლიანდიის საკითხის გამო პროტესტს შეიტანენ, მას ხელს მოაწერს 110—120 დეპუტატი, უმთავრესად შრომის პარტიის და მის ახლო მდგომ პარტიების წევრები, რომლებიც ყოველ შემთხვევაში ინგლისის საზოგადოებრივ აზრის გამომხატველად არ ჩაითვლებიან.

ბერლინი. „კელნიშე-ცაიტუნგ"-ში დაბეჭდილია ბერლინიდან გამოგზავნილი დეპეშა. დეპეშაში ნათქვამია, რეიხსტაგის დეპუტატების მიერ განზრახულია, პეტიცია ფინლიანდიის მდგომარეობის შესახებ ძალიან სამწუხარო უტაქტობააო. გაზეთის აზრით, პეტიცია მოწმობს პოლიტიკურ შორსმჭვრეტელობის უქონლობას და სრულიადაც საჭირო არ არის ისეთ საქმეში ჩარევა, რომელიც გერმანელებს არ ეხება. სხვა გაზეთებიც წინააღმდეგნი არიან პეტიციისა და იმედოვნებენ, რომ ეს, მათის აზრით, უაზრო პეტიცია არ გაეგზავნება სახელმწიფო სათათბიროს.

მიწის-ძვრა.

სან-დომინგო. დილის 3 საათზე ქალაქში დიდი მიწის-ძვრა იყო. არავინ დაშავებულა. კუნძულის შუაგულ ადგილებიდან არავითარი ცნობა არ არის.

კრიტის საქმე.

სტამბოლი. დეპუტატთა პალატა. რიფაატ-ფაშამ განაცხადა: მივიღეთ კრიტეს მფარველ-სახელმწიფოების პასუხი. მფარველი-სახელმწიფოები იტყობინებიან, რომ კრიტელების მოქმედება კრიტეს ეხლანდელ მდგომარეობას არ შესცვლისო. მართალია, მფარველ-სახელმწიფოების პასუხი სრულიად ვერ დაგვაკმაყოფილებს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში დაიცავს ოსმალეთის უფლებებს კუნძულ კრიტეზეო. დიდმა ვეზირმა აღნიშნა, რომ მფარველი-სახელმწიფოები კარგის თვალით უყურებენ ოსმალეთსო.

ტარნოვსკაიას საქმე.

ვენეცია. სასამართლოს დილის სხდომაზე ნაფიცი-ვექილი ელლის მუზზატი, პერიეს მეორე დამცველი, ამტკიცებდა პერიეს უდანაშაულობას, პერიეს საფუძველი არა ჰქონდა გრაფ კომაროვსკის მკვლელობისთვის ხელი შეეწყოო. მუზატმა ითხოვა პერიეს გამართლება. ამ სიტყვით დამთავრდა დამცველთა სიტყვები. ილაპარაკა სამოქალაქო მომჩივანთა ნაფიცმა-ვექილმა კარნელუტტიმ. კარნელუტტი ამტკიცებდა, რომ დამნაშავეებმა სრული პასუხი უნდა აგონო.

ჰაერში ფრენა

პეტერბურგი. ხანგრძლივი ფრენის პრიზის მისაღებად პირველად რაიტის ჰაეროპლანით გაფრინდა პოპოვი. პოპოვმა იფრინა 2 საათი და ოთხი წუთი. პოპოვი მშვიდობიანად დაეშვა მიწაზე. მეორე ადგილი დაიჭირა ბელგიელმა ხრისტიანსმა. ხრისტიანსი ფარმანის ჰაეროპლანით გაფრინდა. მესამე ადგილი დაიჭირა მორანმა. იფრინა საათი და ორი წუთი. ყოველდღიურად დანიშნული სიჩქარის პრიზი აიღო ხრისტიანსმა, რომელმაც ხუთს წუთსა და 35 წამში სამჯერ შემოუარა ჰაეროდრამს.

საზღვარ-გარედ.

ლონდონი. პრემიერ-მინისტრმა ასკვიტმა დეპუტატთა პალატაში განაცხადა, რომ პალატის სხდომა ჯერ ოთხ მაისამდე გადაიდება და შემდეგ 26 მაისამდეო.

პარიზი. ჰავასის სააგენტოს სიტყვით, ტყუილია ის ხმა, ვითომ ახლო მომავალში განზრახული იყოს ბრიანის სამინისტროს გადადგომა, მხოლოდ გამოიცვლება სამხედრო მინისტრი.

რ უ ს ე თ ი

ეკატერინბურგი. გამოირკვა, რომ ეკატერინბურგში ყუთით კაცის გვამი გამოუგზავნია ვინმე პეტროვს.

ნაკადის სიმღერა

მჩქეფარე წყარო მოიმღერს:
„მთისა შვილი ვარ ეული,
ჩაგრულ-ოხერთა ცრემლები,
ნაკადად გარდაქცეული.

⁂

ცრემლებმა ძუძუ მაწოვეს,
მათ შემდეგ ვიწყებ დენასა;
ვქშუი და ვქშუი დღე და ღამ
თან მსურს ვაუწყო ზენასა:

⁂

თუ ვით იტანჯვის ქვეყანა
მდლად ჯოჯოხეთად ქცეული;
თუ ვით იმარჯვებს სატანა,
ავ-სული ეშმა წყეული.

⁂

მიტომაც ვჩუხჩუხ-ვდუდუნებ,
მიტომაც ვმღერი მწუხარე,
რომ მსურს მე ტოლი ვიპოვო,
მედგარი, მძლავრი, მქუხარე.

⁂

რომ მასთან ერთად შევვერთდე,
შევსდგე მრისხანე მდინარე
და დავსცე ქვეყნის ავ სულთა
თავს შიშის მეხი მჭექარე!.."

კ. აბაშისპირელი.

ერთ საღამოს

ექვს საათზე დავიწყე ჩემი ოთახის ზომვა. დანამდვილებით შევიტყე, რომ სიგძე ოთხი ნაბიჯი იყო, სიგანე—სამი, კუთხიდან კუთხემდის—ხუთი, მაგრამ მაინც არ ვისვენებდი. ან რა მომასვენებდა, როდესაც ვიცოდი, რომ შვიდ საათამდის კიდევ ორმოცდა ათი წამი იყო დარჩენილი, სამი ათასი წუთი! ამოდენა ხანში სული შვიდჯერ მაინც მოასწრებდა ამოჰხდომას.

და მეც გულ მოდგინეთ განვაგრძობდი ზომვას. გაშმაგებით ვაბიჯებდი, თავში კი ამ დროს ათასფერი აზრი მიტრიალებდა, ათასნაირი, მაგრამ ერთგვარი,—მოვა თუ არ მოვა,—აი ღერძი, რომლის გარეშემოც ბრუნავდნენ ეს აზრები. მოვა, რასაკვირველია, მოვა. რომ არ მოვიდეს? ჰა, არ მოვიდეს? რა თქმა უნდა, არ მოვა... არა, არა, უეჭველად მოვა. გუშინ რომ ვკითხე, ხვალ ხომ არსად აპირებ მეთქი, არაო, მიპასუხა. მაშ მოხვალ მეთქი? კიო. თვითონა სთქვა, კიო. მაშასადამე, მოვა. ძალას ვინ ატანდა, რომ ტყუილი ეთქვა?! მე ხომ არ მითხოვია, მოდი მეთქი. მე მხოლოდ ვკითხე, მოხვალ თუ არა მეთქი. მოვალო მიპასუხა. ხომ შეეძლო ეთქვა, არ მოვალო, მაგრამ იმანა სთქვა, მოვალო. მაშ ლაპარაკი რაღა საჭიროა, აუცილებლად მოვა.

რომ არ მოვიდეს? რასაკვირველია, არ მოვა. განგება სთქვა, მოვალო თორემ არ მოვა. თუ მოსვლა უნდოდა, აგერ შვიდ საათს გადასცილდა კიდეც...

ჰა, დაიცა, ზარი დაირეკა... ის არის. ხომ ვამბობდი, მოვა მეთქი. არა, ვიღაც კაცია. არ მოვა. ცბიერმა იცოდა, რომ ასე მოუთმენლად მოველოდებოდი და დამცინა. უჰ, კიდევ ზარია. ეხლა კი ის არის... მწ. სხვა არის.

ნეტა რა მაღელვებს? ჯერ ერთი რომ არ მოვა, და რომ მოვიდეს კიდეც, ზარს რად დარეკავს, როდესაც ადვილად შეუძლიან, კედელი დააკაკუნოს და მე თვითონ გაუღებ კარებს. აგერ კიბეზე ვიღაც ამოდის... მისწყდა.. იმან ასე ხმაურობით როდი იცის სიარული. ციცასავით ფეხ აკრებით დადის, მისი ნაბიჯი ნიავსავით მსუბუქი და ჩუმია...

რვის ნახევარია. მაშ იგვიანებ? კარგი. სამაგიეროს გადგიხდი. აი, ტახტზე წამოვწვები და აკაკუნე, რამდენიც გენებოს... მე დღეს არავის ველი და თავისუფლად შემიძლიან წიგნის კითხვა. სულ დამავიწყდა, გუშინ თუ დამპირდა მოსვლას. ვნახოთ, როგორ მოგეწონება. ჰა, ზარია?! რეკე, რეკე, მე არ მესმის. წიგნის კითხვაში ვარ გართული. მეტად საინტერესო წიგნია... უკან რომ გაბრუნდეს? დაიცა, ჩემო ძვირფასო, დაიცა, ამავე წუთში გაგიღებ... მეეზოვე შენა და დარდუბალა! მცოდნოდა, რას გაგიღებდი კარებს. მეეზოვე... დაიცა, მშვენიერი აზრია. ეი, მეეზოვე ხარ თუ ვიღაც ოხერი! გასწი ემ საათში ღვინო მომიტანე, აბა მალე!.. ნუ მობძანდები, ქალბატონო, უთქვენოდაც კარგად გავატარებ დროს. მოვუჯდები წითელ ნუნუას და ლაზათიანად ვიქეიფებ! ქუდს ჰერში ვისვრი. მარტო რად ვიქნები? აგერ სარკეში ვიღაც ყმაწვილი ზის, ცოტა ფერმკრთალია, მაგრამ... მით უკეთესი, ღვინო აულაჟღაჟებს სახეს... ჰა, მოიტა, აი, ყოჩაღ! ეხლა შეგიძლიან წახვიდე... არაფერს, მშვიდობით...

აბა, ჩემო ფერმკრთალო ყმაწვილო. გთხოვთ ჭიქა აივსო, ღმერთმა გაცოცხლოს... ბიჭოს კარგი გადაკვრა გცოდნია! არც მე ჩამოგრჩები. აბა, ასწი ჭიქა, მეც გამიმარჯოს! აბა და, ბიჭო, ვაჟკაცი ყოფილხარ. სარკეში რომ არ იჯდე, ღმერთმანი, გადაგეხვეოდი. მხოლოდ ეგრე ნაღვლიანად ნუ იცქირები. გამხიარულდი, თორემ ლამის მეც მომეკიდოს სევდა. მაშ და-ვლი-ი-ოთ, და-ა-ვლი-ოთ! აბა ბიჭო, მესამეც, შეგეწიოს სამება!..

ნუ მობძანდება, უიმისოდაც მოვახერხებ დროს გატარებას. შენ კი, სარკეში რომ ჩაბძანებულხარ, რა მჭადის ვაჭარივით იღრიჭები! დალიე ღვინო, თორემ ჭიქას თავში გთხლიშავ!..

ეი, ყმაწვილებო, სმენა იყოს და გაგონება! აბა, ჭიქები ასწიეთ, ყველამ. შენც გეუბნები, შენც, შე ფეხებიდან მოცვეთილო! რაო, არ შემიძლიანო. თუ არ შეგეძლო, შვილოსან, ვინა გთხოვდა, სუფრაზე გამოჭიმვას, ადე, დაიკარგე აქედან! აბა, ყმაწვილებო, სმენა, სმენა... მე მინდა იმისი სადღეგრძელო დავლიო, ვინც მუდამ ჟამს სტყუის, მინდა იმისი სადღეგრძელო დავლიო, ვინც თვის სიტყვას არასოდეს არ ასრულებს, მინდა იმისი სადღეგრძელო დავლიო, ვინც სიბრალული არ იცის, მინდა იმისი სადღეგრძელო დავლიო, ვინც ერთი შეხედვით ლომს მიწაზე განართხებს, ვისი ტკბილი სიტყვაც ცხვარს ვეფხვად აქცევს, ვისი ღიმილიც მკვდარს სამარიდან აღადგენს... მაშ გაუმარჯოს ერთად-ერთს ცრუს, სიტყვის გამტეხს, შეუბრალებელს, ლომის დამმარცხებელს, ცხვრის ვეფხად მქცეველს, მკვდრის აღმადგენელს! აბა, ყმაწვილებო, უსუნთქებლივ გადაჰკათ, ჭიქებს ძირი უნახეთ...

ჰა-ჰა-ჰა, როგორაო? მაჰმადმა მთას უთხრა, მოდიო, მთა არ დაიძრა, მაშ მე მოვალ შენთანაო, და მთისკენ გასწია. მშვენიერია, თქვენმა მზემ, მშვენიერი. მაგრამ მთას ხომ არ უთქვამს, მოვალო, იმან კი სთქვა. მაშ, როგორ? არც მე მითქვამს, მოდი მეთქი, მე მხოლოდ ვკითხე, მოხვალ თუ არა მეთქი? არ წავალ, დეე, თუ მთას უნდა მოვიდეს...

მაშ, ყმაწვილებო, გაუმარჯოს მთას, რომელიც მოვა დაპირებისამებრ! მაგრამ მთა ამაყია, თვითონ არ მოვა. მაჰმადი ჭკვიანი იყო, იცოდა მთის თვისება და თვითონ წავიდა. მაშ, მეც წავალ. . არა, არა, მეც მთა ვარ, ამაყი. შორიდან გავცქერი მთას, მაგრამ არ მივუახლოვდები. გაუმარჯოს მთებს, რომელნიც სიამაყით არ უახლოვდებიან ერთმანეთს, თუმც კი გულით უნდათ!.. ჰა-ჰა-ჰა... მთა ვარ, ამაყი... არა, კატა ვარ, მშიშარა კატა, რომელსაც ვერ გაუბედნია მზეს გაუშტეროს თვალები. მზეო, ძვირფასო, მაცხოვლებელო, ნუ დაიშურებ კატისთვის ერთ სხივს, და ისიც შენი მადლიერი, შენ სიგულუხვეს ქვეყნად მოჰფენს...

თქვენ ეი, რას მიედ-მოედებით? ვინ არის კატა? მაგ სიბრიყვისთვის... ამ ბოთლს ხომ ხედავთ? ჯახ!.. გატყდა. არაფერია... განვაგრძოთ. რა ვქნა... ფერმკრთალი ყმაწვილი? სარკეში იჯდა, ეხლა კი იქ ვიღაც ზის სახე-აწითლებული, თვალებ-დასისხლიანებულია. ოჰ, საძაგელო, როგორ მძულხარ! მოჰშორდი სარკეს! არ გინდა? ჰა, მაშ მიიღე... ჭახ... რა ამბავია? ცეცხლი... ვიწვი. ოჰ, როგორ განათდა ოთახი, ცხელა... მე ვსვამ იმის სადღეგრძელოს, ვინც მუდამ ჟამს სტყუის... მშვიდობით, ჩემო ჩვირფასო!.. ვიწვი...

ს. კაცხანარელი.

ხალხური თქმულება

(ჩაწერილი სოფ. ერთაწმინდაში, გორის მაზრა, სოფ. სალხინაშვილისაგან)

ყოფილა ვინმე გლეხკაცი, ჰყოლია მას ქალი და ვაჟი, ქალი—გათქმული სილამაზით. აუსრულდა მამას გულის წადილი: დაისიძევა ვინმე ყმაწვილი—თვალადი, ტანადი, ენაწყლიანი, ქებული ვაჟკაცობით.

ერთ დღეს იმ მხარეს მტერი მოადგა და აოხრებას ემუქრებოდა. აისხა სიძემ თოფ-იარაღი, გაიყოლა სიმამრი და მოყვარე და გასწია სალაშქროდ. ბრძოლაში მტრის ტყვიამ სიძე სასიკვდილოდ დასჭრა და დაეცა ღონე მიხდილი. მტრის ძალა ცხადად სჭარბობდა და მეტი ღონე არ იყო, სიმამრსა და მოყვარეს უკან უნდა დაეხიათ. დაენანა მოყვარეს ვაჟ-კაცის უპატრონოდ დატოვება მინდორში, შეეცადა სასიკვდილოდ დაჭრილის მხარზე შეგდებას და მტრისაგან დახსნას, მაგრამ ამაოდ: ღონე არ შესწევდა. რა დაინახა მამამ, რომ მტერი თან და თან მოახლოვდა და შვილსაც საფრთხე მოელოდა, შეუძახა: „წამო, შვილო, თავს ნუ შეაკლავ, შინ სხვა ახალი მიგველისო..."

ამაზედ ხალხი შემდეგ ლექსს ამბობს:

ავიარე საბურთალა, *)
გადავედქ დევ-ნამუხლსა **)
კვნესა რამე შემომესმა;
ძმა ჩიოდა დის ნამუსსა.
სიძე სალაშქროდ წასული
ეგდო მინდორს დანამულსა,
თავს მოყვარე დასდგომოდა
ლაკვას წყლითა***) ჰბანდა წყლულსა.
შინ რომ მიხვალ, შენ დას ჰკადრე:
ნუ მიგლოვებს დაკარგულსა,
აქ მამიშენის ნათქვამიც
უთხარ, დაჰხსენ სინანულსა,—
რასაც ბოლო მალე უჩანს,
დაღს დაგვასვამს, დაჰკვეთს გულსა,
ნულარ ელის ჩემსა შეყრას
უჟამოს, დღე დალეულსა;
ქალი კოცნას რას დაგიდევს,
ან გუშინდელ სიყვარულსა,—
ისე მალე უდნება გულს,
როგორც თოვლი გაზაფხულსა.

შეწუხებულმა მოყვარემ მოიწურა თვალებზე მორეული ცრემლი, დაიჩოქა სულთ-მობრძავის გვამის წინ და

იტყოდა: სიძე, ვაჟკაცო,
თავს ნუ ვნახავ დამარხულსა,
ყვავ-ყორანი დამჩხაოდეს,
არც ველირსო კარ-ნახულსა,—
თუ საფლავი დაგიკარგო,
ან თუ მიგცე ხელსა მტრულსა!
შინ რომ მივალ, ჩემს დას ვეტყვი
ამა სიტყვას შენგნით თქმულსა,
იქნებ გულმა კუშტი იგრძნოს,
მისცეს თვალი ცრემლის ღვრულსა.
საფლავზედ მატურს დაგადგამ,
ზედ დაგაწერ სიტყვას ძმურსა,
წაიკითხავდეს, ახსოვდეს
შვილსა შვილობით მოდგმულსა:
თუ კაცი ქალსა მიენდოს,
თავს მისცემდეს სინანულსა,
იმღერდეს, შენც აგამღეროს,
ვით ბულბული გაზაფხულსა;
საბედისწეროთ გიყოფდეს
მახეს გრძნობითა დაწნულსა,
ვერ იოხროს გული შმაგი,
ვერც თუ შეხვდეს რამე სრულსა!

ი. კარგარეთელი.

---

*) საბურთალა—საძოვ-სამკვარი მინდორია სათარხნოში.
**) დევ-ნამუხლი—საძოვ-სათესი ადგილია სამაგდოეში.
***) ლაკვას წყალი—წყაროა დევ-ნამუხლში.

ვარშავა. დააპატიმრეს გრჟიბოვსკი. ბრალდება მოსკოვიდან შანსკის მაღაზიიდან 100,000 მანეთის გატაცება. გრჟიბოვსკს დიდი ხანია ეძებს მოსკოვის პოლიცია.

პეტერბურგი. მწერალთა მეორე კრების საზოგადო კრებამ დაამტკიცა კრების ანგარიში, სექციების მიერ მიღებული რეზოლიუციები, არჩევნები მუდმივ კომიტეტში, სამედიატორო სასამართლო და სარევიზიო კომისია. ამის შემდეგ კრება დაიხურა.

სინოდის ნებართვით პეტერბურგში სასულიერო სასწავლებლების მასწავლებელთათვის გაიხსნება ბუნებისმეტყველების კურსი.

პეტერბურგი. გაჩხრიკეს ლეიბგვარდიის პოლკის ოფიცრად ნამყოფის ვონლიარლიარსკის სახლი. ვონლიარლიარსკი თავად ოგინსკის მილიონების მემკვიდრეა. წაიღეს სხვა და სხვა საბუთის ქაღალდები. ამბობენ, რომ ოგინსკის ანდერძის ქაღალდი ყალბიაო. უკვე აღძრულია საჩივარი. ვონლიარლიარსკი გაჩხრეკის დროს მოსკოვში იყო.

სმოლენსკი. სოფელ პრუტკაში, სმოლენსკის მაზრაში, იპოვეს სამი გირვანქა ვერცხლის რუსული ფული. ფული გაკეთებულია მე-16 საუკუნეში.

ეროვნული მოძრაობა უკრაინაში

უკრაინელთა ეროვნული მოძრაობა ფრიად საინტერესოა. საინტერესოა იმით, რომ უკრაინელები დიდ ძალას წარმოადგენენ რუსეთის იმპერიაში და მომავალიც მათ დიდ პოლიტიკურს როლს უქადის. იშვიათია ეროვნება, რომლის ეროვნული იდეალებიც ისე შეელახოთ, როგორც უკრაინელებისა. ყველგან სდევნიან ეროვნებას, ყველგან რუსიფიკაციაა გაბატონებული, მაგრამ ამას სჩადის ბიუროკრატია და რუსთა საზოგადოების ის ნაწილი, რომლისთვისაც კეთილშობლიური ინსტიქტები უცხო ხილია. სამაგიეროდ რუსეთის პროგრესიული ნაწილი თანაუგრძნობს, სიტყვით მაინც, ამა თუ იმ ერის კულტურულად აღორძინებას. უკრაინელები კი ამასაც მოკლებულნი არიან. ისინი პროგრესიულ ნაწილშიაც ვერა ხედავენ თანაგრძნობას. უკრაინელთა ასიმილიაციაზე მარტო მთავრობა ან ბობრინსკი და სავენკო კი არა ფიქრობს, არამედ რუსეთის პროგრესისტთა ნაწილიც. მათ ვერც კი წარმოუდგენიათ უკრაინის ლიტერატურის ან ისტორიის თავისებურება. ცხადია, რომ ამგვარი ატმოსფერა ველიკოროსთა და უკრაინელთა ნათესაობამ და ეთნოგრაფიულმა პირობებმა წარმოშვეს. მაგრამ რა მიზეზიც უნდა იყოს, ფაქტი ფაქტად დარჩება.

წარსულ საუკუნის დასაწყისში უკრაინელთა ცხოვრება იმით დახასიათდება, რომ ინტელიგენცია, დაღონებული თავის სამშობლოს მდგომარეობით, სცდილობდა თავი დაეხწია განსაცდელისთვის. მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნის უკანასკნელი წარმომადგენელი კამპინისტი სცდილობდა ავსტრიის დახმარებით გაენთავისუფლებინა თავისი ქვეყანა, მაგრამ ამაოდ: მან ვერ მიაღწია მიზანს. ამ მხრით უკრაინელთა ფართო მასსის მისწრაფება უფრო რეალურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ამ მისწრაფებას პოლიტიკურს გარდა ეკონომიურ-სოციალური მნიშვნელობაც ჰქონდა; „ковачество“-ს დაბრუნებით ისინი თავისუფლდებოდნენ ბატონ-ყმობისა და ყოველგვარ გადასახადისაგან. ამიტომაც უკრაინელთა მასსის მიზანი კაზაკთა რაზმში გადარიცხვა იყო. აი სწორედ ამ დროს ჩაისახნენ უკრაინელთა „ნაროდნიკები“, რომელთა მოძრაობა უფრო დემოკრატიული იყო, ვიდრე ველიკორუსებისა.

მათ მამათ-მთავრად მწერალი შევჩენკო უნდა ჩაითვალოს. შევჩენკომ ხელი გაუწოდა რევოლიუციონურ ხალხს, რომელსაც უნდა დაეგვირგვინებინა იმგვარი წეს-წყობილება, სადაც არ უნდა ყოფილიყო **„ни холоп, ни пан“**. პოეტი ხალხურ აჯანყებაზე ოცნებობდა, იმის მიზანს შეადგენდა სამშობლოს განთავისუფლება და ძირიანად გაქარწყლება იმ წესწყობილებისა, რომელიც ერთს ბატონობას არგუნებს, მეორეს კი მონობას. მისი დევიზი იყო მოსპობა ქონებრივ და წოდებრივ პრივილეგიებისა. შევჩენკოს წრის (კირილე მეთოდის ძმობა) პროგრამა დემოკრატიული იყო. ამ წრემ სავსებით გამოჰხატა თავის ხალხის ინტერესები. მაგრამ, როგორც ვიცით, 1847 წ. მთავრობამ იერიში მიიტანა ამ საზოგადოებაზე. საუკეთესო წარმომადგენელნი ამ „ძმობისა“ ციმბირში გადაასახლეს. დაბრუნებისას ისინი მეტის ხალისით შეუდგნენ საქმეს, მაგრამ, საუბედუროდ, დიდ ხანს არ დასცალდათ: 1863 წ. უკრაინელთა საზოგადოებრივი ცხოვრება აუტანელ პირობებში ჩავარდა. მთავრობამ ხასტიკი ომი გამოუცხადა ყოველსავე იმას, რასაც ეროვნული დაღი ესვა. კულტურული მუშაობა შეუძლებელი გახდა. თითქმის ყველა საზოგადოებრივი დაწესებულება დაიკეტა.

ყველა ამან გამოიწვია ის, რომ უკრაინელთა ინტელიგენციის ერთი ნაწილი რევოლიუციონურ მოძრაობაში ჩაება და ეროვნულ საკითხის წამოყენება დროის შეუსაფერებლად მიიჩნია. მეორე ნაწილი კი ეროვნულ მოძრაობის საჭიროებას აღიარებდა. ესენი იძულებულნი შეიქმნენ მთელი თავიანთი მუშაობა გალიციაში გადაეტანათ. გალიციაში მათ საშუალება ეძლეოდათ ემუშავნათ ეროვნულს ნიადაგზე. ამგვარად, ამ ხანაში ვამჩნევთ უკრაინელ ინტელიგენციის ძალების რამდენიმე დაქსაქსვას, რომელიც, რა თქმა უნდა, გამოწვეული იყო იმ აუტანელ პოლიტიკურ ატმოსფერით, რომელშიაც უკრაინელთა ინტელიგენციას უხდებოდა მუშაობა. მაშასადამე, უკრაინელთა დემოკრატიის გაერთიანება შეუძლებელი გახდა: ერთი ნაწილი ჩაება პარტიულ მუშაობაში, მეორეს კი არ აკმაყოფილებდა რუსეთში არსებულ პარტიათა პროგრამები, სადაც ეროვნულ პრობლემებს არა ჰქონდა ჯეროვანი ყურადღება მიქცეული. ესენი იძულებულნი გახდნენ, პარტიის გარეშე სხვა მიზანი და დევიზი დაესახათ.

ამგვარად, გალიცია შეიქნა უკრაინელთა ეროვნულ მოძრაობის ბუდედ. რასაკვირველია, ეს გარემოება რუსეთის მთავრობას არ გამოეპარებოდა. უკრაინელთა ეროვნულ მოძრაობის სისტემატიურ დევნას რუსეთის მთავრობის მიერ, რასაკვირველია, არაპირდაპირ, გალიციაშიაც ვამჩნევთ. მაგრამ იქ ამ დევნამ ვერ გამოიღო სასურველი ნაყოფი იმიტომ, რომ ავსტრია რუსეთთან შედარებით დემოკრატიული სახელმწიფო იყო და და მეორე, ავსტრიის ტერიტორიაზე მოძრაობის დევნა, ავსტრიის მთავრობის კომპენტენციაში შედიოდა და არა რუსეთისაში. ამგვარად, რუსეთში თითქმის მიდუმდა უკრაინელთა ეროვნული მოძრაობა. შევჩენკოს რევოლიუციონური ლოზუნგები თითქმის მიივიწყა ხალხმა.

დაიწყო თუ არა რუსეთში რევოლიუცია, უკრაინის ხალხმაც ჯეროვანი მონაწილეობა მიიღო. მოძრაობას იქ მარტო ეკონომიური კი არა, ეროვნული ხასიათიც ჰქონდა. ამ საკითხმა შეაკავშირა უკრაინაში არსებული პარტიები. ეროვნულმა საკითხმა გამოიწვია უკრაინის დემოკრატიის გაერთიანება, და ეროვნული მოძრაობა კვლავ აღსდგა რუსეთის უკრაინაში. ამ დემოკრატიის გარშემო იყრის თავს საუკეთესო სულიერი ძალა უკრაინელ ხალხისა. რევოლიუციის დამარცხების შემდეგ არსდება უკრაინაში სხვა და სხვა კულტურული დაწესებულება, ფართოვდებოდა პროგრამა და ძლიერდება მუშაობა ყველა იმ კულტურულ დაწესებულებაში, რომელიც რევოლიუციამდე დაარსდა. **„Просвита“** კულტურულ მუშაობის ბუდედ გადაიქცა. რუსული შავრაზმული გაზეთი „კიევლიანინი“ სწერს, რომ **„Просвита“** მეტ საფრთხეს უმზადებს რუსეთს, ვიდრე პოლონეთის კულტურული დაწესებულება **„Освiата“**-ო და თუ ამ დაწესებულებას ბოლო არ მოუღო მთავრობამ, ცუდად იქნება საქმეო. მართლაც, პოლონეთის **„Освiата“**-ს შემდეგ ამ კულტურულ დაწესებულებას ბადალი არა ჰყავს. ეს დაწესებულება აერთებს უკრაინის ინტელიგენციის სხვა და სხვა მიმართულებას და ამიტომაც გამოიღო მან სასურველი ნაყოფი. ამ დაწესებულების წინაშე ქედს იხრის პარტიული ინტერესი. ამ დაწესებულებაში არა აქვს ადგილი პარტიულს ბრძოლას. აქ ყველასათვის ერთი დევიზია, ერთი მიზანი—კულტურული მუშაობა. მთავრობამ უკიევლიანინოდაც კარგად იცის რას წარმოადგენს ეს დაწესებულება, მხოლოდ თუ ვერ მიუტანია მასზე ჯერჯერობით იერიში, ეს უბრალო შემთხვევას უნდა მიეწეროს. კიევის ადგილობრივი მთავრობა უკვე კარგი ხანია კბილებს ილესავს.

ყველას კარგად მოეხსენება უკანასკნელ ცირკულიარის შინაარსი, რომელიც მიმართულია „ინოროდცების“ კულტურულ დაწესებულებათა წინააღმდეგ. ამ ცირკულიარში უკრაინელებიც „ინოროდცებად“ არიან ცნობილნი. მთავრობა უკრაინელთ „ინოროდცობას“ ოფიციალურად აღიარებას ძლიერ ფრთხილად ეკიდებოდა ყოველთვის, მაგრამ ეხლა იძულებული გახდა შეეცვალა პოზიცია. ამ რიგად უკრაინელთა ეროვნულ საქმეში კვლავ იწყება რეპრესიები: დღეს თუ არა ხვალ უკრაინელთა ფრიად საინტერესო კულტურულ დაწესებულებას პოლონეთის „Освiата“-ს დღე დაადგება...

ქ. ჩხეიძე.

მცირე რამ ქართულად სწავლებაზე

ამას წინად „დროებაში“ (№ 79) დაიბეჭდა ი. კახელის წერილი: „ქართული ენა და მშობლები“. ავტორი უსაყვედურებდა დედებს, რომელნიც სამშობლო ენაზე არა ზრდიან შვილებს. ყველაფერი, რაც ამ წერილშია ნათქვამი, მართალია, მაგრამ მართალია ისიც, რომ დედებიც დიდ გასაჭირში არიან, რადგან ქართულად არ მოიპოვება არც სახელმძღვანელოები, არც საკითხავი წიგნები, არც ნახატები და არც სხვა რამე. მოგახსენებთ ჩემ ამბავს.

ჩემი გოგონა ორი წლისა და ხუთი თვისაა. დაბადებიდანვე, რასაკვირველია, ქართულად ველაპარაკებოდით. ქართულად ამოიდგა ენა. ყველამ კარგად იცის, როგორ უყვართ ბავშვებს ზღაპრები. ერთი წლიდანვე მშვენივრად ისმენდა პატარა ზღაპრებს. მაგრამ საჭიროა ზღაპრები დასურათებული იყოს, მე კი ვერსად ვიშოვნე ასეთი რამ. მეტი გზა არ იყო, მე თვითონ უხატავდა ზღაპრების მოქმედ პირთ. ამ ცოტა ხანში გამოვიდა რუსულ ენაზე მშვენიერი ზღაპრები—სურათები. მე მაშინვე შევიძინე, სულ ექვსი ცალი ჯერ. მშვენიერი სურათებია. რუსულად დაბეჭდილს ქართულად უამბობდი გოგონას. მაგრამ მალე მოუხერხებლად ვცანი. ამიტომ გადავთარგმნე ქართულად, სურათები გადასაყვან ლურჯ ქაღალდით გადავიყვანე, და გამოვიდა ქართული დასურათებული ზღაპრები. ეხლა ბავშვი ზღაპრებს ქართულს ენაზე ისმენს და თვალიც ქართულ ასოებს ეჩვევა. სულ არარაობას, ჩემის აზრით, ესა სჯობია.

რომ ბავშვებს სიმღერებიც უყვართ—ესეც ყველამ იცის. მაგრამ განა რამდენი კილო გვაქვს „დედა ენაში?“ სულ 10: 1. „თამარ მეფე“, 2. „ორმოში ფეტვი ჩავყარე“, 3. „იავ-ნანა“, 4. „სერზე მიდის სამი მგელი“, 5. „მუმლი მუხასაო“, 6. „კურდღელი ჩამოცანცალდა“, 7. „ლეკებმა რომ დამჭირეს“, 8. „ჩარირამა“, 9. „ბუბა ქაქუჩელა“ და 10. „მიყვარს ფაცხა“.

ქართველ დედას, რომელსაც სურს თავისი შვილები ქართულ ენაზე აღზარდოს, უნდა დაეხმარნენ მხატვრები, კომპოზიტორები, მთარგმნელები.

რამდენად საჭიროა ქართველისათვის ქართულ ენაზე აღზრდა, მით უმეტეს, რომ სასწავლებლებში ამ ამ ენას არავითარ ყურადღებას არ აქცევენ, მკითხველმა შემდეგიდან განსაჯოს. მე, დიდი ადამიანი, რამდენი ხანია ვებრძვი ჩემს თავს და და ვერ შევეჩვიე ქართულად აზროვნებას. ამ წერილს, როგორადაც ყველა ქართულ წერილს, ვწერ რუსულად და შემდეგ ვთარგმნი. რას უნდა მოელოდეს სამშობლო ასეთ შვილებისაგან? რას უნდა მივაწეროთ ასეთი ჩვენი სილატაკე მწერლებით, პოეტებით, თუ არ ამას?!

ნინო გოგნიაშვილისა.

ს.-პეტერბურგი.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **გეოლოგიური გამოკვლევა.** მაისის შუა რიცხვებში ერთ დიდ ინგლისურ ფირმის ინიციატივით ტფილისში ჩამოვლენ საზღვარგარეთელი გეოლოგები, რომელნიც ინჟენერის ფრენცელის მეთაურობით გეოლოგიურად გამოიკვლევენ ამიერ-კავკასიის იმ ადგილებს, სადაც ნავთის ნიშნებია.

✦ **უსახელო საზოგადოება.** როგორც ვიცით, ტფილისში მომხდარ უკანასკნელ ამბების შემდეგ, უსახელო საზოგადოებამ ტრამვაის დირექტორი ბატაილი საჩქაროდ ბრიუსელში დაიბარა. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ამ თანამდებობაზე ტფილისში იგი კვლავ აღარ დაბრუნდებოდა. მაგრამ ბატაილი დაბრუნდა და, როგორც გავიგეთ, ბევრი რამაც დაუვალებიათ მისთვის. სხვათა შორის, მიუნდვიათ, იშუამდგომლოს ქალაქის გამგეობის წინაშე როგორც ტრამვაის გამოსყიდვაზე, ისე კონცესიის ვადის გაგრძელებაზე.

✦ **საიდუმლო სტამბის აღმოჩენა.** 28 აპრილს ბაქოში დამცველ პოლიციის აგენტებს აღმოუჩენიათ მშვენივრად მოწყობილი საიდუმლო სტამბა. იქვე უნახავთ კი სხვა და სხვა შინაარსის პროკლამაცია და აგრეთვე რევოლიუციონურ პარტიის წესდებები. სტამბაში ხუთი კაცი მუშაობდა თურმე. ყველანი დაუპატიმრებიათ.

✦ **დაჯარიმება.** გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით რაჭის მაზრის სოფ. სხვავის მცხოვრები ათანასე კვატაძე ტფილისში სხვის პასპორტით ცხოვრებისთვის დაჯარიმებულ იქმნა 500 მანეთით. თუ ჯარიმას არ გადაიხდის, ორი თვით დააპატიმრებენ.

✦ **განკარგულება.** ადმინისტრაციამ განკარგულება მოახდინა, სასტიკი ყურადღება მიექცეს, რომ ბაზარში, აგრეთვე რესტორან-ბუფეტებში არ იყიდებოდეს ნანადირევი ფრინველი. როგორც ვიცით, ნადირობა ამ დროს კანონით აღკრძალულია. დამნაშავე დაისჯება.

✦ **უპასპორტონი.** 28 აპრილს პოლიციამ მე-5 საპოლიციო უბანში შეიპყრო 15 უპასპორტო, პირველში 2, მე-6—11 და მე-12—5 კაცი.

✦ **თავის მოწამვლა.** 27 აპრილს მიხეილის სამკურნალოში გარდაიცვალა ოლგა ნაცვლიშვილისა, 23 წლისა, რომელმაც ამავე დღეს დილით კარბოლის სიმჟავე დალია. იგი მინკვიცევის ქუჩაზე სცხოვრობდა და წინა დღეს, როგორც პოლიციის ცნობა გადმოგვცემს, თავის დედასთან ჩხუბი მოსვლია.

✦ **აღკრძალვა.** ადმინისტრაციის განკარგულებით, დღეიდან აღკრძალულია ვაჭრობა სახლების შესავალში. ვინც აქამდე ვაჭრობდა ასეთ ადგილებში, მათ ვაჭრობის ნება მხოლოდ 2 მაისამდე აქვთ.

✦ 28 აპრილს, საღამოს 7 საათზე პუშკინის ქუჩაზე, მეოთხე უბნის ბოქაულმა შეიპყრო სარქისოვის შვილი—ოჰანეზა, რომელიც საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლებული იყო და თავის ნებით დაბრუნებულიყო. მას პასუხის-გებაში აძლევენ.

✦ 28 აპრილს პოლიციამ შეიპყრო ვინმე „კარაპეტა“, რომელსაც ტფილისის ვაჭარ ერვანდ მიკირტუმოვის დაჭრა ჰბრალდება. იგი აღმოჩნდა ტფილისის მოქალაქე კარაპეტ სტეფანეს ძე სტეფანოვი. შეპყრობილი მეოთხე განყოფილების გამომძიებელს გადაეცა.

მოწერილი ამბები

გორი. 24 აპრილს სოფ. ზარიკოტმანში მთიულის ქალი დარია კობაიძე მინდორში სამუშაოდ ყოფილიყო. უეცრად შემოხვევია სამი შეიარაღებული მთიული — ივანე ზამთრეული, გლახა ზამთრეული და ივანე კობაიძე, რომელთაც გაუტაცნიათ ეს ქალი სოფ. სამოქალაქოში. ეს ამბავი სწრაფად გაუგია კავთის ხევის მამასახლისს, რომელსაც მაშინვე მდევარი დაუდევნებია. მდევარი მისულა სოფ. სამოქალაქოში, სადაც დაუჩხრეკიათ სახლები და ივანე ზამთრეულის სახლში უნახავთ გატაცებული ქალი. ივანე ზამთრეულს უთქვამს, მე მიყვარდა ეგ ქალი და რადგან ნებით არ მომცეს მის პატრონებმა, ძალით მოვიტაცეო. მისავე სახლში უპოვნიათ ებრალდო ხანმახნიანი თოფები, რომლებითაც ისინი ქალის გატაცების დროს ყოფილან შეიარაღებულნი. გამოძიება სწარმოებს.

24 აპრილს სოფ. კეხიჯვარში ვიღაც სამი შეიარაღებული ბოროტ-გამზრახველი დასცემია გლეხ ალექსი ცხვეთაძის სახლს. ცხვეთაძისთვის მოუთხოვნიათ ფული და დაუჭრიათ ხანჯლით ფეხში. უცნობებს ცხვეთაძის გაძარცვა ვერ მოუსწრიათ, რადგან სოფელს გაუგია, და გაქცეულან.

26 აპრილს გორის საპატიმროში ჩაამწყვდიეს ივანე ჩოჩიშვილი, რომელმაც გაძარცვა ებრაელი მოშე, მოშაშვილი, ქვენაფლავის მახლობლად. ჩოჩიშვილი გაძარცვაში გამოტეხილა და მიუტანია იარაღი რითიც იგი გაძარცვის დროს ყოფილა შეიარაღებული.

ქ.

—

ს. ღულელები. ეს სოფელი მდებარეობს თიანეთისკენ მიმავალ საფოსტო გზის პირას, ერწოში. დასახლებულია ხევსურებით, რომლებიც დიდი ხანია მთიდან არიან აქ ჩამოსულნი. იქნება 50 კომლამდის და სცხოვრობენ აწ განსვენებულის ნიკო ხიმშიაშვილის მამულზე. ხიზნების უფლებები აქვთ. მისდევენ ხვნა-თესვას და საქონლის მოშენებას და ამითი ირჩენენ თავს.

მამის სიკვდილის შემდეგ ნიკოს შვილი შეუდგა თავის მამულების უცხოელებზე გაყიდვას, როგორც არაგვის ხეობაზე, ისე აქ. ღულელების მამულის სანახევრად ოთხი პირი რუსი მოგზავნა და ბოლოს კიდეც გადასცა რუსებს იჯარით, მხოლოდ შემდეგში უნდა შეისყიდონ კიდეც. ხალხს მოულოდნელად დღეს თავზე რუსები წამოადგნენ და დაიჭირეს მათი ოფლით და სისხლით მორწყული ადგილები. გლეხების წუხილს და ჩივილს საზღვარი არა აქვს, მაგრამ რას იზამენ, როცა მშველელი არავინ არის, რუსებს კი ისე ხელს უწყობენ, რომ ბუზიც ვერ გაიჭაჭანებს მათ მამულში. ხალხს ძლიერ უნდოდა შეესყიდნა ეს მამული, მაგრამ პატრონი ძვირად აფასებს—დესეტინას 90 მანეთად, როდესაც იმაზე უკეთესი მამული დესეტინა 22—30—35 მანეთად იყიდება. ჰკითხოს მემამულემ თავის მეზობლებს რამაზიშვილებს, მის მამულზე უკეთესი მამული, როგორ გაჰყიდეს. რუსები ამას მაძლევენო, ვნახოთ ან რას მისცემენ, ან რას მოიგებენ. აქაური მამულები ძლიერ ნაკლებია, ჭაობიანი. იჯარით აღება ხომ ჩვენ ხალხსაც შეუძლიან, რატომ მათ არ მისცა? რუსები ხომ დადებით მეტს არას აკეთებენ, როგორც წინამძღვარიშვილის მამულებმა ჰქნეს. უმჯობესი იქნება ისევ ხევსურებს მიჰყიდოს და არ დაადონოს ისედაც დაღონებული ხალხი.

ერწოელი.

—

ცხინვალი. გაზაფხულს თან დაჰყვა მშვენიერი ამინდი—ხან წვიმა, ხან სითბო, ყველაფერი თავ თავის დროზე იყო და ამიტომაც არის, რომ მოსავალს მეტად კარგი პირი უჩანს. რომ იტყვიან, სწორედ ავის თვალით არ ინახვის მინდორ-ვენახები და ბაღები. საამურად გაქვს დაჯდაჯი აბიბინებულ ჯეჯილს, ვენახებიც და ხეხილიც კარგს მოსავალს გვპირდებიან. გლეხი სიამოვნებით შეჰყურებს თავის ნაჭირნახულევს და იმედით თუ იმაგრებს გულს, თორემ დღევანდელმა შიმშილმა სიათი გაუწყვიტა და არაქათი გამოუღია. გავლილ წლების მოუსავლობამ ძალზე დასცარა ხალხი. ზედი-ზედ ხუთი წელიწადი მოუსავლიანი იყო და დიდი გაჭირვება გამოიარა ხალხმა. ამ ჟამად გადასახადებიც მძიმე ლოდივით აწვება კისერზე გლეხობას. გალი, ჯარიმები, სახელმწიფო ხარჯები, საბატონო, მღვდელ-დიაკვნისა და მრავალი სხვა. ამ გადასახადებისა და შიმშილობის გამო ძალიან იაფი იყო მუშა ხელი—25—30 კაპ. დღეში, თავის ხარჯით. მუშას არაფერი არა რჩებოდა სახლში ცოლშვილი ქატოთი იკვებებოდა. მაზრის უფროსი ამოვიდა ცხინვალში, იქიდან ჯავში და შემდეგ შინდისში. ყველგან ხალხი ერთსა და იმავეს ეუბნებოდა—დავიღუპენით, მშიერი გვეხოცება ცოლშვილი, წელსზევით ძალა აღარა გვაქვს, გვადროვეთ, ეხლა ვერ გადავიხდით გადასახადსაო.

ამ გაჭირვების დროს ხმა გავარდა, რომ ცხინვალში ბანკი გაიხსნა და ღარიბ ხალხს შეუძლიან თითო-ორი თუმანი ივალოს 12 კაპ. სარგებლითაო. დიდი და პატარა მიადგა ამორჩეულ კაცებს—არიქათ, გვავალეთ ფულიო,—მაგრამ დახეთ უბედურებას!—ამორჩეულმა კაცებმა უთხრეს—ბანკი ცხინვალელების არაო. გულნატკენი დაბრუნდა გლეხი, რა იმედით მოვიდა ბანკისკენ და ის გულ დაწყვეტილი დაბრუნდა უკან. მაგრამ, როგორც ეტყობა, ბევრ ცხინვალელსაც ბედი არა სწყალობს და ბანკიდან ფული ვერ გამოაქვს. მაგ. ერთმა ითხოვა ფული და უარი უთხრეს. გამგეობასთან განსაჩივრა, დაუსხელა, რომ იმაზე მდიდრებსაც აქვთ წაღებული ფული და ღარიბებსაც. გამოირკვა, რომ პირად ანგარიშებით უხელმძღვანელია დირექტორს, მაგრამ რასა ფიქრობდნენ ამხანაგები, ყველგან გაიძახიან, ბანკის დირექტორების ყურადღება უფრო შეძლებულ ხალხისაკენაა მიქცეული. საჭიროა, წვრილი კრედიტის საკრედიტო ბანკმა არ გადაუხვიოს თავის წესდებას და დანიშნულებას.

აქეთ მძვინვარებდა სახადი და ყვავილი.

ცხინვალის მამასახლისს დობე დაუწვეს ზედ ხარებიანა დღეს. კარგი რომ, მალე გააქრეს და მხოლოდ ოთხი საჟენი დაიწვა.

ადგილობრივმა თავ. აშოთან მაჩაბელმა რუისელი გლეხი, ახალგაზდა უმაწვილი კაცი დასჭრა. დაჭრილი მესამე დღესვე გარდაიცვალა.

ორმა ცხინვალელმა ბიჭმა ტერ-პეტროსოვმა და ჩარახჩიანმა სცადეს მაჯის ძალა, ესროლეს რევოლვერები ერთმანეთს, მაგრამ ააცდინეს.

ყოფილი პოლიციის ბოქაული სამსახურიდან დაითხოვეს. ბოქაულად დანიშნეს ციციშვილი, რომელიც უკვე მოვიდა. ცხინვალის ქუჩებს სისუფთავე დაეტყო. კარგი იქნება, ყურადღება მიექცეს ებრაელების უბანს, რადგან სიბინძურეს უხვად მოუყრია იქ თავი.

დროებით მეთვალყურე.

ბრძოლა ალბანიაში

რამ გამოიწვია ალბანელთა მოძრაობა.

„ნოიე-ფრ. პრეს.“ დაბეჭდილია ცნობილ ალბანელ ნაციონალისტის დერვიშ-ხიმა-ბეის ნალაპარაკევი. მას ვენის ერთ გაზეთის კორესპონდენტისათვის უთქვამს, რომ გაზეთებში ბევრი უაზრობა ვრცელდება ალბანიის მოძრაობაზე, ვითომ ეს მოძრაობა რეაქციონური და არა კონსტიტუციონური იყოს. ხიმას უთქვამს ამაზე: კოსოვოში რომ გადასახადების აღებას თხოულობდნენ, მეტად უკანონობას სჩადიოდნენო. ოსმალეთის მთავრობა კი არა, არამედ ალბანელები არიან მტკიცე კონსტიტუციონალურ ნიადაგზე. უსკიუბის გუბერნატორს უნდოდა ოთხი სხვა და სხვა გადასახადი ერთსა და იმავე დროს გადაეხდევინებინა ხალხისათვის: გადასახადი სანოვაგეზე, საქონელზე, მიწის იჯარაზე და ბაზარზე წონით გაყიდულ საქონელზე. გასულ წელს სურდათ ეს გადასახადები დაეკანონებინათ კანონმდებლობითი წესით, მაგრამ დეპუტატთა პალატამ არ შეიწყნარა. გუბერნატორი მაზარ-ბეი კი სცდილობს ძალით დააწესოს ეს გადასახადები, და ალბანელი გლეხი სრულიად კანონიერად იქცევა, როდესაც არ ემორჩილება გუბერნატორის სურვილს და ძალადობის წინაშე ქედს არ იხრის. დღევანდელ მოძრაობის ერთად ერთი მიზეზი ეს გადასახადებია, და თუ ალბანელმა დეპუტატებმა ხმა ჩაიწყვიტეს და პროტესტი არ განაცხადეს პალატაში, ეს იმიტომ, რომ მათი უმრავლესობა არა ალბანელია და ამორჩეულნი არიან, როგორც დამსახურებულნი პირნი ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტის წინაშე. ალბანელები არ დასცხრებიან, სანამ დღევანდელი უსამართლო გადასახადები არ მოეხსნებათ კისრიდან. გაზეთები სხვა მიზეზებსაც აცხადებენ, მაგრამ ყველა ეს მტკნარი ჭორია და ცილის წამება.

ალბანელები შეუგნებელი ხალხიაო—ამბობენ, მაგრამ ხალხმა მოითხოვა სკოლების გახსნა და გზე-

ბის გაყვანა. მთავრობამ კი გადასახადები დააწესა. როდესაც კერძო მეცადინეობით დაარსეს სკოლები, სამღვდელოებამ მოიწადინა არაბული ანბანის შემოღება. ეს ანბანი არა ყოფილა აქამდის, ხალხი ლათინურ ანბანს იყო ჩვეული. ლათინურ ანბანს ვიცავთ, რადგან მხოლოდ ამას შეუძლიან დაგვაახლოვოს ევროპის ხალხებთა“ და შეგვათვისებინოს განათლებულ ხალხთა კულტურა. „განათლებულ ალბანელთათვის ანბანის საკითხი პოლიტიკის საკითხი კი არა, არამედ პრაქტიკისა. ალბანელებმა უარი სთქვეს იარაღის აყრაზე—ეს პატრიოტულ მოსაზრებით ჩაიდინეს. ალბანელები რომ მტკიცედ არა ყოფილიყვნენ, შესაძლებელია სამხრეთი ალბანია საბერძნეთის ხელში გადასულიყო, ხოლო ჩრდილოეთი სლავიანთა ხელში.

თეატრი და ხელოვნება

რუსული დრამა. რამდენჯერ გვქონდა შემთხვევა დავსწრებოდით კრეჩინინის დასის წარმოდგენას და უნდა ვსთქვათ, რომ ძალიან კმაყოფილი დავრჩით. საერთოდ მთელი დასი კარგ შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ განსაკუთრებით ირჩევა მსახიობი პუტიატა, იგი შესანიშნავი ნაპოლეონი იყო „მადამ სან-ჟენში“ და უფრო უკეთესი ჰენრიხ ნავარიელი, გუშინ წინ მეორედ თუ მესამედ წარმოდგენილ პიესაში. ხმა, ტანი, მიხვრა-მოხვრა, გასაოცარი ნიუანსები, ბუნებრიობა და თავისუფლება—აი მისი ღირსებანი.

თვით პიესა „ჰენრიხ ნავარიელი“ ძალიან საინტერესოდ არის დაწერილი, ფრანგულ გემოზე.

აღსანიშნავია ეხლანდელ დასში აგრეთვე მსახიობი ქალი ჩარუსსკაია, რომელსაც უკვე იცნობს ტფილისის საზოგადოება. იგი შარშან ძმ. ადელგეიმების დასში თამაშობდა,

მ.

—

თელავი. 24 აპრილს თელავის საკრებულო დარბაზში მოსულმა სომხ. დრამატ. დასის არტისტმა შაენმა ადგილობრივ სცენის-მოყვარეთა მონაწილეობით გამართა წარმოდგენა ქართულ და სომხურ ენებზე. ჯერ წარმოადგინეს სომხურად 2 მოქმ. კომედია იაკობლევის „ადამ და ევა“, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ, თვით შაენის გარდა, როტინიანი და ქ-ნი ბეჟანოვი. მერე წარმოადგინეს ქართულად 3 მოქმედ. კომედია დონდაროვისა „ფული და ხარისხი“, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ ქ-ნნი: ბეჟანოვი, სიდამონიძე, ხირსელი და ნანუკოვი, ბ-ნნი: თეთრიანელი, ი. ვახვახიშვილი, ონიკაშვილი, ნაზოღლუონი, ჩხიკვაძე, ნარიმანოვი და მირიანოვი. ორივე პიესა რიგიანად შეასრულეს. ქართულს პიესაში ყურადღებას იქცევდნენ ბ-ნნი ი. ვახვახიშვილი, (ლევანის როლში), თეთრიანელი (დავ. ლამბაძის როლში), ნაზოღლუონი (არტემ შარბათოვის როლში) და ქ-ნნი ბეჟანოვი (სოფიოს როლში) და სიდამონიძე (ბებრის როლში). ნანუკოვის ქალმა როლი არ იცოდა, რაიც აიხსნება იმით—იგი პირველად გამოვიდა სცენაზე და ისიც თითქმის ურეპეტიციოდ, გაჭირების გამო, რადგან ვისაც უნდა ეთამაშნა, ვეღარ მოვიდა ავადმყოფობის გამო. ცოტა უაწყურულობაც ეტყობოდათ, რომელიც ამ ჟამად ტფილისშია.

ხალხი ნაკლებად დაესწრო. მეტწილი ისევ ქართველობა იყო. კარგი იქნება ამ ახალგაზრდათა წრემ ამ საზაფხულოდ მოაწყოს სცენის საქმე და იაფფასიანი წარმოდგენები მართოს, რადგან კლუბის შეკეთება იწყება და იქ ჯერ-ჯერობით აღარ შეიძლება წარმოდგენების მართვა. როგორც გავიგეთ, სოფლებშიც კი აპირებენ თურმე ესენი წარმოდგენების დადგმას,

იმ—ეს.

სასამართლო

ცილის წამება გაზეთით.

28—29 აპრილს ტფ. ოლქის სასამართლოს პირველ განყოფილებაში გაირჩა საქმე „გოლოს კავკაზა“-ს რედაქტორის ვასალიევისა და ამავე გაზეთის თანამშრომლის ტარატინოვის. ამათ ცილი დასწამეს პირველ გიმნაზიის დირექტორს ი. ე. გამყრელიძეს.

1909 წ. 5 მაისს ხსენებულ გაზეთში მოთავსებული იყო წერილი ამ სათაურით: „პირველ გიმნაზიაში“. ამ წერილში ლანძღავდნენ პირველ გიმნაზიის დირექტორს და მასწავლებლებს. როცა რედაქტორმა ვ. სილიევმა წერილის ავტორი ტარატინოვი დაასახელა, მაშინ გამყრელიძემ ითხოვა რედაქტორის განთავისუფლება და ბრალი დასდეს მხოლოდ ტარატინოვს.

სასამართლომ დამნაშავედ იცნო ტარატინოვი და გადაუწყვიტა 2 თვით დაპატიმრება. სანამ საქმე პალატაში გაირჩეოდეს, ტარატინოვი თავმდებობით განთავისუფლეს.

მომჩივანს იცავდა ნ. ვექილი სტალინსკი, ტარატინოვს კი კალჩევსკი.

ოსმალეთი

მოძრაობა არაბეთში

ალბანიაში მოძრაობა თან და თან ძლიერდება და ოსმალეთის მთავრობას საგონებელში აგდებს. ამავე დროს სტამბოლში ცნობები მიუღიათ არაბეთში მოძრაობა იწყებაო. „გაზ. ნოე ფრ. პრეს.“ს ატყობინებენ არაბეთიდან დაბრუნებული მოგზაურები, რომ იქ დიდი მოძრაობა მზადდება ოსმალეთის წინააღმდეგ. აქამდის თუ ცალ-ცალკე მოქმედებდნენ რაზმები „მახტი სეიდ-მახამედბინ იდრისი და იმამხარია-ბინ ხამიდედინი და ხან და ხან კიდეც ებრძოდნენ ერთი მეორეს—ეხლა შეთანხმდნენ, შეკავშირდნენ, რომ შეერთებულის ძალით ააფრიალონ აჯანყების დროშა ოსმალეთის წინააღმდეგ, მთელი სამხრეთი არაბეთი მღელვარებს მორევშია შეიხებიდან მხოლოდ ერთი ალკას-ალიაკუბი არ გასდგომია ოსმალეთის მთავრობას. არაბეთის ყველაზე მდიდარშა კუთხი ხანმა უარი განაცხადა გადასახადების გადებაზე. მეამბოხეთ დიდძალი იარაღი და სამხედრო სურსათი აქვთ. იარაღი არაბეთში კონტრაბანდით შეაქვთ. გაზეთის სიტყვით, თუ მთავრობა დროზე არ ჩააქრობს ამბოხებას, მღელვარება გაიზრდება და მალე მთელ მხარეს მოედება. ბედუინები ჯიბასა და ზღვის შუა შეერთდებიან და კვლავ შეუდგებიან თავის დიდიხნის სანუკველ მიზნის განხორციელებას—იემენისა და გეჯასის დამოუკიდებლობის მოპოვებას.

რუსეთი

პროსტიტუცია რუსეთში. პეტერბურგში ამ ჟამად პროსტიტუციასთან მებრძოლი კრებაა. ამიტომ მკითხველისთვის ინტერეს მოკლებული არ იქნება გავაცნოთ, თუ რა მდგომარეობაშია რუსეთში პროსტიტუცია მთავრობას ვრცელი ცნობები შეუკრებია პროსტიტუციის მდგომარეობის და იმ ორგანოების შესახებ, რომელიც თვალყურს ადევნებენ როსკიპ ქალებს.

ამ ცნობებით, 1909 წელს როსკიპ ქალთა თვალ-ყურის სადევნელად 200 ქალაქში დაწესებული ყოფილა განსაკუთრებული ორგანოები: საექიმო პოლიციური კომიტეტები, ქალაქის სასანიტარო კომიტეტები, სასანიტარო ბიუროები და სხვა, 258 ქალაქში როსკიპ ქალებისთვის თვალყური უდევნებიათ პოლიციელებს. ამრიგად 1909 წელს როსკიპ ქალებისთვის ასე თუ ისე თვალყური უდევნებიათ 458 ქალაქში. ოფიციალურის სტატისტიკით-კი რუსეთში, ფინლიანდიის გარდა, 960 ქალაქია.

არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ბევრ ქალაქში თუმც არსებობენ კომიტეტები, მაგრამ ეს უკანასკნელნი არავითარ მოქმედებას და უნარს არ იჩენენ.

საექიმო-საპოლიციო კომიტეტების შესანახად ყველაზე მეტი დაუხარჯავს პეტერბურგს—24,000 მანეთი, შემდეგ მოსკოვს—10,215 მანეთი. ვარშავაში ამავე საქმისთვის იხარჯება 18,300 მანეთი, მაგრამ 7,400 მანეთს ხაზინა იხდის. არიან ისეთი ქალაქებიც, სადაც ამგვარ კომიტეტებზე წელიწადში ხარჯავენ 50 მანეთს.

1909 წლის პირველ იანვრისთვის რუსეთში ყოფილა 1019 საროსკიპო სახლი. ასეთი სახლები არსებობს მხოლოდ 255 ქალაქებში. მათ შორის, 90 ქალაქში მარტო საროსკიპო სახლებია და როსკიპ ქალების კერძოდ ცხოვრება აღკრძალულია. საროსკიპო სახლებში სულ ითვლება 11,965 როსკიპი ქალი, ე. ი. თვითეულ საროსკიპო სახლზე 11 ქალი მოდის.

143 ქალაქში არ არსებობს საროსკიპო სახლი. აქ როსკიპი ქალები კერძოდ სცხოვრობენ და მათ თვალ-ყურს ადევნებენ სხვა და სხვა კომიტეტები. თუ ზოგიერთ ქალაქებში საროსკიპო სახლები არ არის, ეს იმითი კი არ აიხსნება, რომ ამ ქალაქებში აკრძალულია საროსკიპო სახლების გახსნა, პირიქით, კანონი ყველგან ნებას იძლევა გახსნან ასეთი სახლები.

საროსკიპო სახლებს გარდა მთავრობის ნებართვით იმპერიის სხვა და სხვა ნაწილებში საროსკიპო სახლების რიცხვი ასეა განაწილებული: ევროპის რუსეთში არსებობს 658 საროსკიპო სახლი 7877 როსკიპი ქალით; პოლონეთში—25 საროსკიპო სახლი 465 როსკიპი ქალით; ციმბირში საროსკიპო სახლი არსებობს 26 ქალაქში, სულ 179 საროსკიპო სახლი 1819 როსკიპი ქალით; თურქესტანში საროსკიპო სახლი არსებობს 14 ქალაქში, კერძოდ მცხოვრებიროსკიპი ქალები. 1909 წელს საროსკიპო სახლებში სიფილისით ავად გამხდარა 15,4 პროცენტი, სხვა ვენერიული ავადმყოფობით 25 პროცენტი. სულ 53 საროსკიპო სახლი 614 როსკიპი ქალით კერძოდ მცხოვრები იხსენება ეგრედ წოდებული „შესახვედრი სახლები“, რომლის პატრონებიც სტუმრების მოთხოვნაზე მოვალენი არიან მოიყვანონ როსკიპი ქალები. ასეთ სახლები რუსეთში 293-ია.

საროსკიპო სახლების მხრივ პირველი ადგილი უჭირავს პეტერბურგს, 34 საროსკიპო სახლი, შემდეგ სარატოვს 32, ირბიტს 27, ვლადივოსტოკს 27, ტომსკს 27 და სხვა. მოსკოვში მხოლოდ ერთი საროსკიპო სახლია. საინტერესოა, რომ ვენერიულ ავადმყოფებად საროსკიპო სახლები უფრო ავრცელებენ, ვიდრე როსკიპ ქალებთან სიფილისით ავად გამხდარა 14, 9% პროცენტი, სხვა ვენერიული ავადმყოფობით 22, 9% პროცენტი.

ავადმყოფობის მხრივ პირველი ადგილი უჭირავს აჩინსკს, სადაც ორ საროსკიპო სახლში სიფილისით ავად გახდა 137, 5 პროცენტი, შემდეგ ველიკიე ლუკი (პსკოვის გუბერნია)—133, 3 პროცენტი; კინეშმა—106, 2% პროცენტი, ვოლოგდა და იარენსკი—100 პროცენტი, ტვერი—97, 8 პროცენტი, სევასტოპოლი 13 პროცენტი, ელეცი 76, 5 პროცენტი და სხვა. პეტერბურგში საროსკიპოლი სახლებში სიფილისით ავად ხდება 9, 6 პროცენტი, მოსკოვი 27, 6 პროცენტი.

საინტერესოა, რომ კალუგის, კურსკის, სამარის, ჩერნიგოვის, კოვნოს, კელეცის და პლოცკის გუბერნიების საროსკიპო სახლში უკანასკნელ წლებში არც ერთი კაცი არ გამხდარა ავად სიფილისით. ასე გასინჯეთ სხვა ვენერიული ავადმყოფობანიც კი ძალიან იშვიათი მოვლენა ყოფილა ამ გუბერნიებში.

არსად იმდენი არ ხდება ავად სიფილისით, როგორც კავკასიის საროსკიპო სახლებში, 20, 2 პროცენტი, ყველაზედ ნაკლები თურქესტანში—7—2, 2 პროცენტი. რაც შეეხება სხვა ვენერიულ ავადმყოფობებს, თურქესტანის მხარე ძალიან დიდ პროცენტს იძლევა—26, 4 პროცენტი. ევროპის რუსეთის საროსკიპო სახლებში სიფილისით ავად ხდება 15, 7 პროცენტი, კერძოდ მცხოვრებს როსკიპ ქალებში 15, 3 პროცენტი, სხვა ვენერიულ ავადმყოფობებით საროსკიპო სახლებში ავად ხდება 20, 8 პროცენტი, კერძოდ მცხოვრებ როსკიპ ქალებთან 29, 4 პროცენტი.

აღსანიშნავია, რომ მოსკოვის ერთადერთ საროსკიპო სახლში მხოლოდ სიფილისით ხდებიან ავად, სხვა ვენერიულ ავადმყოფობებს კერძოდ მცხოვრები როსკიპი ქალები ავრცელებენ. მოსკოვში, რამდენადაც გამოირკვა, კერძოდ 1687 როსკიპი ქალი სცხოვრობს.

(უტ. როს.)

წერილი რედ. მიმართ

„დროების“ მე-82 ნომერში დაიბეჭდა ჩემი წერილი, რომელზედაც ბლაღ. მღ. გორგაძემ პასუხი დასწერა. მაგრამ ის „წერილი რედაქციის მიმართ“, რომელიც ბლ. გორგაძეს ჩემ წერილში მოხსენებულ ფაქტების პასუხად მიაჩნია, ელტვის მხოლოდ იმას, რომ შეცდომაში შეიყვანოს არა ბორჯომელი, მკითხველი, რადგან ყველა ბორჯომელმა ძალიან კარგად იცის, რომ ბლაღ. გორგაძემ სრულიად გააუქმა ეკკლესიის წიგნთ - საცავ - სამკითხველო, რომლის ოთახებიც მან თვის საცხოვრებელ ბინად გადააქცია. ყველა ბორჯომელმა აგრეთვე კარგად იცის, რომ წიგნთ-საცავ-სამკითხველო ბლაღ. გორგაძემ იმ მშვენიერ ორ სართულიან საეკკლესიო სახლში კი არ გადიტანა, რომელსაც იგი თავისს სასარგებლოდ აქირავებს ზამთარზაფხულ, არამედ სამკითხველო მთლად გააუქმა, რასაც თვითონაც მოწმობს, და წიგნთ-საცავი-კი მოუთავსებია ბნელ და ნესტიან სარდაფში, ყოფილ წიგნთ-საცავ-სამკითხველოს ქვეშ. და ამის შემდეგ ბლაღ. გორგაძეს გულ-უბრყვილოდ უკვირს, რომ მკითხველი არავინ არისო. როგორც მკითხველი ჰხედავს, ყოფილი საეკლესიო წიგნთ-საცავ-სამკითხველო არსებითად გაუქმებულია. ბლაღ. გორგაძეს სწადიან აგრეთვე შეცდომაში შეიყვანოს მკითხველი, როდესაც თავისს წერილში ეკკლესიის ეზოს „განაპირა ნაწილს“ უწოდებს. ხელოსნები და მუშები, რომელთათვისაც უმთავრესად საჭიროა წიგნთ-საცავ-სამკითხველო გახსნა, სცხოვრობენ სწორედ ეკკლესიის მახლობლად. ბლაღ. გორგაძე დარწმუნებული უნდა ბრძანდებოდეს, რომ ეკკლესიის აშენებელი, საეკლესიო ადგილის არჩევის დროს, ხელმძღვანელობდა უფრო საზოგადოებრივ და უანგარო მოსაზრებით, ვიდრე ბიბლიოთეკის „თანამგრძნობი“ მოძღვარი.

ბორჯომელი.

მატარებლების მიმოსვლა

18 აპრილიდან 1910 წ.

საათები ნაჩვენებია ტფილისის დროს მიხედვით, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წუთით წინაა.

ტფილისიდან გადის

ბათუმისკენ: N 1, სწრ.—საღ. 11 ს. 28 წ.
N 3, საფ-ს.—დღ. 1 ს. 24 წ.
N 5, სამგზ.—საღ. 7 ს. 31 წ.
ბაქოსკენ: N 2, სწრაფ.—დილ. 8 ს. 15 წ.
N 4, საფ-ს.—საღ. 10 ს. 4 წ.
N 12, სამგზ.—დღ. 2 ს. 38 წ.
ბორჯომისკენ: სამგზ.—დილ. 8 ს. 28 წ.
სამგზავ.—დღ. 3 ს. 36 წ.
ჯულფისკენ: საფოსტო—ღამ. 12 ს. 22 წ.
ერევნისკენ: სამგზავრო—დღ. 4 ს. 15 წ.

ტფილისში მოდის

ბათუმიდან: N 2, სწრ.—დილ. 7 ს. 25 წ.
N 4, საფ-ს.—საღ. 9 ს. 4 წ.
N 6, სამგზ.—დილ. 11 ს. 4 წ.
ბაქოდან: N 1, სწრფ.—საღამ. 10 ს. 36 წ.
N 3, საფოს.—დღ. 12 ს. 24 წ.
N 1. სამგზ.—დილ. 6 ს. 58 წ.
ბორჯომიდან: სამგზ.—დილ. 6 ს. 28 წ.
სამგზ.—საღამ. 8 ს. 08 წ.
ჯულფიდან: საფოსტ.—დილ. 6 ს. 8 წ.
ერევნიდან: სამგზავ.—დღის. 6 ს. 33 წ.

განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
დოქტ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირებს გარდა

დილით:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
უ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.
ბ. გ. აგასაროვი: 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.
კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა: 9½—1 ს ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.

საღამოთი:

ქალ. ექ. პ ს. ზილბერშაცი: 6—6½ ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
თ. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. ფ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა ნავასარდიანი.**

ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში
იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—91)

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი
„ნაკადული“
(წელიწადი მეექვსე)
1910 წლის პირველ იანვრიდან 1911 წლის პირველ იანვრამდე მიეცემა ხელის მომწერლებს:
24 წიგნი მცირე წლოვანთათ **12** წიგნი მოზრდილთათვის.

გარდა ამისა მიეცემა პრემიად საბავშვო უნივერსიტეტი (სამეცნიერო-პოპულიალური ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის)· 1. «დედამიწა და კუდიანი ვარსკვლავი» —ზღაპარი ევალდისა; 2. «მარჯნები».—ზღაპარი ევალდისა; 3. „თორმეტი და“—ზღაპარი ევალდისა; 4. ქართული მხატვრული ახლები კუბიკებზე.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ხუთი მანეთი, ნახევარი წლით ორივე გამოცემა—სამი მანეთი; საზღვარ-გარეთ: წლიურად—შვიდი მანეთი; მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—სამი მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში. „ნაკადულის“ რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე, 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში თავად-აზნაურობის ქარვასლაში).



(Мотць и К. N 43014) (10—6.—2)

ნახევარ ფასად
იყიდება მიწა ვერაზე, არტილერის ყაზარმების წინ, სამხედრო სასამართლოს გზის მარჯვნივ მხარეს, 200 ოთხ კუთხი საჟ. ფასადი ქუჩის პირად 14 საჟ. პირობების გაგება შეიძლება მიხაილოვის ქუჩაზე, ჭავჭავაძის სახლში, № 36, გასტრონომიულ მაღაზიაში [illegible] (265—1)

ქ. შ. წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მაღაზიაში
იყიდება

1. ი. ჭავჭავაძე. კრიტიკული წერილები	25
2. ი. ჭავჭავაძე. პოლემიკური წერილები	10
3 ი. ჭავჭავაძე. ცხოვრება და კანონი	25
4. ი. ჭავჭავაძე. აი ისტორია	35
5. აკაკის სახსოვრად. საიუბილეო კრებული	40
6. აკაკი. თორნიკე ერისთავი	35
7. აკაკი. კრილოვის იგავ არაკები, სურათებით	50

დაიბეჭდა და ურიგდება ხელის მომწერთ
◄ BATON-ის წიგნი: ►
„ერი და კაცობრიობა,
განხილულნი სოციოლოგიურის მხრივ“
28 აპრილიდან წიგნები დაურიგდებათ იმ ხელის მომწერთ, ვინც ხელი მოაწერა „დროების“ რედაქციაში და წ. კ. ს. წიგ. მაღაზიაში ბ. ივალიშვილთან.
ვისაც წიგნზე ხელი არ მოუწერია, შეუძლიან იყიდოს „დროების“ კანტორაში, წ.-კ. საზოგადოების ან სხვა წიგნის მაღაზიაში. წიგნი ღირს **ექვს აბაზად.** (3—3)

შემთხვევით იყიდება
ძრიელ იაფად ორ სართულიანი სახლი. შესდგება 13 ოთახისა და 6 სამზარეულოსაგან. მიწა ზომით 60 ოთხკუთხი საჟენი. ავლაბარში, თელავის ქუჩა, № 17. არამიანცის საავადმყოფოს ახლო. შეიძლება იჯარითაც გაცემა. პირობების გაგება შეიძლება იქვე.

დაიბეჭდა და პირველ მაისს დაურიგდება ხელისმომწერლებს **მაისის** ნომერი ჟურნალ
„განათლებისა“
შემდეგი შინაარსით: 1. «სამშობლოს გაცნობა». იპ. ვართაგავასი; 2. „სწავლა აღზრდის საქმე ძველ საქართველოში“ (X—XIII საუკ.), დასასრული. სამ. ცომაიასი; 3. «ბუნების შესწავლა სახალხო სკოლებში», ლ. ბ—ძისა; 4. „სოციოლოგია“, სიმ. ავალიანისა; 5. „ჰაერის ანუ ატმოსფერის ელექტრონი“, ე. ალშიბაიასი; 6. „ადამ და ევა“, (პჟეინსკისა). თარ. ე. ფ—ვასი; 7. „მოხუცი და ახალგაზრდა“, ლექსი აკაკისა; 8. «მხიარული ღორი», სალტიკოვისა (შჩედრინისა), თარგ. განწირულისა; 9. «ეს მესამე ჩარღუზანა», ლექსი ირ. ევდოშვილისა; 10. „სულა და ღმერთები» (დასასრული), ბაჩანასი; 11. „ცრუ-მორწმუნეობა სამეგრელო-აფხაზეთში“, ერასტი როდონაიასი; 12. „საუბრისა და ბუნების მეტყველების პროგრამა საქართველოს სახალხო სკოლებისათვის; 13 რუსეთი: სასკოლო საკითხი სახელმწიფო საბჭოში, კაზაბერისა; 14. მოწერილი ამბები: ქუთაისიდან—ფარისა, ახალციხიდან—კ. გვარამაძისა, პეტერბურგიდან—ლადო გუგეჭკორისა; 15. ბიბლიოგრაფია—განისა; 16 ცხოვრებიდან და მეცნიერებიდან.
ჟურნალის ფასი წლიურად 3 მან. სოფლის მასწავლებელთათვის—2 მან. ტფილისში ხელის მოწერა მიიღება ქ. შ. წ. კ. საზ. წიგნის მაღაზიაში და „ნაკადულის“ რედაქციაში. მისამართი: Тифлисъ, Грузинская Дворянская гимназія Л. Г. Боцвадзе.
(3—3) რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

ადგილობრივ და სხვა ქალაქების ჟურნალ-გაზეთებისთვის
განცხადების მომკრეფი აგენტი
მ. ა. ბაყონია
იღებს შეღავათიანის პირობებით ყოველ გვარ განცხადებას როგორც ადგილობრივ, ისე სხვა ქალაქის გაზეთებისთვის.
ვისაც სურს მასთან საქმე დაიჭიროს, უნდა მიმართოს ამ ადრესით:
(0—10) **ტფილისი, ველიკოკნიაზის ქ., № 40. ტელეფონი № 215.**

დროება
ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.
§§§§§§ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს კვირეული§§§§§§
სურათებიანი დამატება
გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.
ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური ◆——
——◆ **დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.**
ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.
ქალაქ გარედ ხელის მოწერა მიიღება: ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან; ხონში—გიგლა მებუკესთან; გორში—სევ. შველიძესთან; ქიათურაში სოფრომ ტარიუაშვილთან.
გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.
******ხელის მომწერთა საყურადღებოდ******
კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.
„დროების“ კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამდ.
ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, редакція „Дроэба“,
И. С. Агладзе.

სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3
რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე.